საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბოქდ-ვეული სიფცვაა, ფაფიოებით და ჭიჩებით ბეჭ-თის გაფანა ყვეოა ეკადრისიბაზე ესაბაგლესია.

ხუთშაბათი, 17 ნოემბერი. 2016 წ. №215 (8107), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ПОЛИТИКУРИ АЛИУНРИ

რასაც გაბუნია სრადის, საშოზლოს წინაალმდეგ ბრძოლაა!



სიტყვის თავისუფლება უწინარესად თვითონ თავისუფლების დაცვას ნიშნავს, ხოლო თავისუფლება – ადამიანის პასუხისმგებლობას თავისი სამშობლოს წინაშე, რომელიც პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, ყოველი მოქალაქისგან უწინარესად სიყვარულს მოითხოვს, სიყვარული კი უწინარესად ზრუნვაა, უანგარო ზრუნვა, გაწეული სამშობლოსთვის, შენი ხალხისთვის, შენი ოჯახისთვის, თანამოქალაქეებისთვის.

ყველა წესიერი და პატიოსანი ადამიანი თავისი შეძლებისდაგვარად იჩენს ამ ზრუნვას. წესიერებასა და პატიოსნებას არცრა საერთო არა აქვს რა პარტიულ კუთვნილებასთან, მაგრამ ვაი და ვაი, რომ პარტიულობა ძალიან ხშირად ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად უნამუსობის ბრძოლაა, რომლის დროსაც არაწესიერ და უპატიოსნეს ადამიანებს სამშობლო ქერის ორმოდ წარმოუდგენიათ და ყოველგვარ უკადრებელს სულ ღიღინ-ღიღინით კადრულობენ.

ამ ჭეშმარიტების დასტურსაყოფად სავსებით საკმარისია ნაციონალური მოძრაობის ყოველდღიური ამაზრზენი საქციელი, ანუ ეგრეთ წოდებული ოპოზიციურობა, რომლის ერთადერთი მთავარი მიზანი არა სამშობლოს კეთილდღეობისთვის ზრუნვა, არამედ არსებული კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლაა, რათა ხელისუფლებაში ისევ თვითონ, ნაციონალები, წამოსკუპდნენ და თავიანთ გემოზე ცხრაფატყავი გააძრონ ისედაც უკვე კარგა გვარიანად გატყავებულ საქართველოს.

ნაციონალების ამ სამარცხვინო ბრძოლის „ატომური“ საინფორმაციო იარაღია უკვე აშკარად მომაბეზრებელი და გულის ძაფზე გამყვანი „რუსთავი-2“, რომელსაც კეთილგონიერმა მოქალაქეებმა სავსებით სამართლიანად „ცრუსთავი-2“ შეარქვეს.

აქაოდა, ყველასაგან განსხვავებით, ჩვენ „ატომური“ საინფორმაციო ყოვლისთავლაფდამსხმელი საშუალება გვაქვსო, ამიტომ ხვალ თუ არა, ზეგ თუ არა, მაზეგ მაინც ისევ ჩვენ მოვალთო.

აი ამ „ატომური“ არხის არაკანონიერი მფლობელის მთავარი პათოსი, რისი მოწმენიც 15 ნოემბერს ერთხელ კიდევ გაგვხადა ხსენებული „მფლობელის“ უშუბლძარღვო მონა-ქვეშევრდომმა, ენად გაკრეფის ხელოვნების უთუოდ დიდოსტატმა გიორგი გაბუნიამ, რომელიც, თავისდა საუბედუროდ, თავისი ცხოვრების ყველაზე ლამაზ წლებს, თავისი მელოტი, მაგრამ წვერ-ულვაშიან არცთუ უნიჭო ახალგაზრდობას ავანტიურისტ მიხეილ სააკაშვილს უანგაროდ სწირავს.

ამ პოლიტიკური მხვერპლშეწირვის სათვალმჩენო მაგალითი იყო სწორედ 15 ნოემბრის ეგრეთ წოდებული „არჩევანი“, რომელიც პოლიტიკურად გავირთამამებულმა გაბუნიამ მთლიანად ისევ და ისევ კარიერისტული მიზნით სამშობლოს მოქალაქეობაზე უარის მთქმელ და სამშობლოდან ათწლიანი ნაძარცვით სავსე გუდით გაპარულ სააკაშვილს დაუთმო.

ვინც ნერვები მოითოკა და უსმინა „არჩევანს“, ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს: ნუთუ ასე ძნელი გასარჩევია ერთმანეთისგან სიტყვის თავისუფლება და „პოლიტიკური ნეხვის“ სროლის თავისუფლება.

15 ნოემბრის „არჩევანი“ დიახაც „პოლიტიკური ნეხვის“ ტალახის კი არა, სწორედაც „ნეხვის“ სროლა იყო. ოდესური თევზეულით ჩაკურატებული, გუბერნატორობიდან უკვე ჩამოლაბორანტებული სააკაშვილის მთავარი სამიზნე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ბიძინა ივანიშვილი იყო.

არადა, პორტრეტული მსგავსებით ქვეშევრდომ გაბუნიას „არჩევანში“ ივანიშვილი კი არა, თვითონ სააკაშვილი ზუსტად ნატურიდან გადმოხატული ჯაყო იყო. ივანიშვილისგან განსხვავებით, საქართველო სწორედაც რომ თეიმურაზ ხევისთავის ოჯახია, სწორედაც რომ მარგოა, რომელსაც მთელი ათი წელიწადი ხდიდა ნამუსს და კიდევ მაინც არ ისვენებს. თვითონ კაცურ კაცობაზე მწყრალად მყოფი ჯაყო სხვას აბრალებს ჯაყოობას, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ეს უფრო პოლიტიკური „ნეხვის“ სროლაა, „ნეხვისა“, რომლითაც თვითონ მსროლელს მოეთხუპნა გაღორებული თავ-პირი.

დასასრულ, მთელი პრინციპულობით უნდა ითქვას, რომ გაბუნია, როგორც ტელეგამძღოლი, აშკარად დაუკრეფავში გადადის... აქაოდა, კერძო არხიაო, ყველაფრის უფლებას აძლევს თავის გაბელატებულ თავს და თავისი მოკლე ჭკუით პოლიტიკურ აღდგომას უპირებს ზოგიერთი არაკეთილგონიერისთვის, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გაბელადებულ სააკაშვილს.

ჩვენი აზრით, გარდა იმისა, რომ „რუსთავი-2“-ს გაბუნიასა და გაბუნიასნაირთა წყალობით თვალნათლივ ანტისახელმწიფოებრივი პოზიცია უჭირავს, რასაც არცრა საერთო არა აქვს რა სიტყვის თავისუფლებასთან, არცთუ უნიჭო სრულწლოვანმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ მისი ეს ერთგვარად სიცილის მომგვრელი პოლიტიკური ჩალიჩი, აშკარად სამშობლოს წინააღმდეგ უსინდისო ბრძოლაა!

გურამ წიკლაური

უზენაესი სასამართლო „რუსთავი-2“-ის საქმეს 21 ნოემბერს განიხილავს

ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საქმეზე სხდომა ზეპირი მოსმენის გარეშე შედგება. სხდომას მხარეები არ დაესწრებიან.

„რუსთავი-2“ მოითხოვდა, რომ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, ტელეკომპანიის საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით წარმართულიყო, თუმცა უზენაესმა სასამართლომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და საქმეს ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. „რუსთავი-2-ის“ ადვოკატებისთვის ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის მიიღებს სასამართლო გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების მიღების ბოლო ვადა კი 25 იანვარია. რაც შეეხება ქიბარ ხალვაშის ადვოკატს პაატა სალიას საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვაში პრობლემას ვერ ხედავს.

ხომ არ დაბრუნდება საქმე სააპელაციოში?

ქიბარ ხალვაშის ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ „რუსთავი-2“-ის საქმე უზენასმა სასამართლომ სააპელაციოში დააბრუნოს. პაატა სალია იმედოვნებს, რომ საქმე მათ სასარგებლოდ დასრულდება.

„იმედი გვაქვს, რომ საქმე ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება, მაგრამ არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა, უზენაესმა სასამართლომ სააპელაციოში დააბრუნოს,“ – განაცხადა პაატა სალიამ.

რატომ ვართმევთ ლარს საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლოს ფუნქციას?!

3

რუსეთ-სომხეთის სამხედრო ერთობა და... უსუსური საქართველო

არამზადების გალერეა

ქურდი და თანაც... „მეცნიერი“ ქოსიკო

4

„ნატოსა და ევროსტრუქტურებშიც საქართველოს ეკლესიის შესახებ არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ“

12

სტალინის გენიალური გეგმა და თურქების „ფუჭი გასროლა“ აჭარაში

5

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი უპირობო მხარდაჭერას გვპირდება

სტრასბურგში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა შეხვედრა გამართა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან ტორბიორნ იაგლანდთან.

შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის თანამშრომლობის საკითხები, ასევე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში საქართველოში გამართული საპარლამენტო არჩევნები, რა დროსაც გენერალურმა მდივანმა დადებითი შეფასება მისცა ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს და მიულოცა ქართულ მხარეს არჩევნების წარმატებით ჩატარება.

გენერალურმა მდივანმა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოს უპირობო მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. მან ასევე დაადასტურა, რომ საქართველოს საკითხი მუდმივად იქნება ევროპის საბჭოს პოლიტიკურ დღის წესრიგში და გაგრძელდება საქართველოში კონფლიქტის შესახებ კონსოლიდირებული ანგარიშის წარდგენა.

ქართულმა მხარემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ რთულ ვითარებაზე და მადლობა გადაუხადა გენერალურ მდივანს ევროპის საბჭოს ძალისხმევისათვის განახორციელოს მონიტორინგი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვაზე.

გვეშველა, პარლამენტი მალე დაიწყებს მუშაობას!

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგები შეაჯამა. საბოლოო შემაჯამებელ ოქმს ცესკოს თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ ხელი მოაწერა.

აღნიშნული მონაცემების თანახმად, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 513 884 იყო. არჩევნების შედეგები გაბათილდა და განმეორებითი კენჭისყრა აღარ გაიმართა 10 უბანზე. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 825 054-მა ამომრჩეველმა. **საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა კი, ასეთია — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 477 053 ხმა, „დავით თარხან -მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ 88 097 ხმა, „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ 856 638 ხმა.**

„ქართული ოცნებიდან“ პარლამენტის წევრად აირჩიეს 115 დეპუტატი, „ნაციონალური მოძრაობიდან“ — 27, „პატრიოტთა ალიანსიდან“ — 6, „თოფაძე მრეწველებიდან“ — ერთი და საინიციატივო ჯგუფიდან — ერთი დეპუტატი.

შემაჯამებელი ოქმი „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების შემდეგ ოფიციალურად ძალაში შესულად ჩაითვლება.

„გირჩი“ საზოგადოებას აბოლებს!..

უმრავლესობის დეპუტატი **გია ვოლსკი** „გირჩის“ ინიციატივას მარიხუანას დეკრიმინალიზაციასთან დაკავშირებით ეხმაურება და ამბობს, რომ „გირჩის“ მხრიდან საზოგადოების დაბოლებას აქვს ადგილი:

„ვფიქრობ, რომ ასეთი განცხადებებით საზოგადოების დაბოლებას აქვს ადგილი. ამას კი, ჩვენი შვილების და ეზოში მოთამაშე ბავშვების დაბოლება მოჰყვება“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

„გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ მიმართა პარლამენტსა და მთავრობას, ახალ წლამდე მარიხუანასა და მისგან დამზადებული პროდუქტების მოხმარება გახდეს ლეგალური.

არ შეიძლება, მსუბუქი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის ადამიანი იჯდეს ციხეში, — აცხადებენ გირჩელები.

* * *

მე მგონი, მართლაც ძალიან მკაფიოა, რომ არ შეიძლება, მსუბუქი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის ადამიანი იჯდეს ციხეში, — აცხადებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი საქართველოს ხელისუფლების ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ.

„ეს ის პოლიტიკაა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზავნილი იყო ჩვენი პოლიტიკური გუნდის“ — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ლევან იზორია: ჩვენ ნატოს ღირსეული პარტნიორები ვართ!

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია გერმანიის მოკავშირეთა ძალების ტრანსფორმაციის უმაღლესი სარდლის მოადგილეს, ადმირალ მანფრედ ნილსონს შეხვდა. „ნატო-საქართველოს სწავლება 2016“-ის ფარგლებში გამართულ შეხვედრას საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ლელა ჩიქოვანი, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე, ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ დაესწრნენ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ნატო-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის, ნატო-საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) მიმდინარე „ნატო-საქართველოს სწავლება 2016“ საკითხები განიხილეს. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ საქართველოში სწავლების ჩატარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და გერმანიის მოკავშირეთა ძალების ტრანსფორმაციის უმაღლესი სარდლობას მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის. თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ რიგით უკვე მეორე, საერთაშორისო წვრთნა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს, განავითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები.

„საქართველოში უკვე ერთი კვირაა, მიმდინარეობს ნატო-საქართველოს წვრთნები. ჩვენ ამ წვრთნების ფარგლებში ნატოს ადმირლს, ასევე პოლონეთისა და ლიტვის გენშტაბის უფროსებს ვუმასპინძლეთ. თავად ეს წვრთნები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. პრაქტიკულად პირველად ნატოს ისტორიაში ეს წვრთნები აისახა ნატოს რეგულარული წვრთნების ციკლში. პირველად მასპინძლობს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი და ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს არის ნატოს არსებითი პაკეტის ფარგლებში უკვე მეორე საერთაშორისო წვრთნა. მინდა, ჩვენი კოლეგების პირველადი შტაბეჭდილებები გაგიზიაროთ, რომ წვრთნები ძალიან წარმატებულად მიმდინარეობს. ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის ნატოს ღირსეული პარტიორია და ბუნებრივია, მსგავს წვრთნებს მომავალშიც გავაგრძელებთ“, — განაცხადა ლევან იზორიამ.

„დილით გვქონდა შეხვედრა საქართველოს თავდაცვის მინისტრთან, სადაც ერთმანეთს მომავალ წვრთნებთან დაკავშირებით შეხედულებები გავუზიარეთ. მე აღვნიშნე, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ძალიან დიდი წვლილი შეიტანა ნატოს ეგიდით მიმდინარე სხვადასხვა წვრთნებსა თუ ოპერაციებში, განსაკუთრებით ავღანეთის სამშვიდობო მისიაში. ჩვენ ვაფასებთ იმას, რომ 11.000-მდე ქართველი ჯარისკაცი საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობს. ძალიან მიხარია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ჩვენს გვერდით დგას“, — განაცხადა გერმანიის მოკავშირეთა ძალების ტრანსფორმაციის უმაღლესი სარდლის მოადგილემ ადმირალ მანფრედ ნილსონმა.

კახა კუკავაც სხვა ოპოზიციონერებივით ონანისტი ყოფილა!

არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთობლივ კონსულტაციებს მართავს. 15 კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საკანონდებლო ცვლილებებზე მუშაობას გეგმავს, თუმცა მანამდე მთავარი საკითხი, რაზეც პოზიცია უნდა შეაჯერონ, უკვე ჩატარებული კენჭისყრის ლეგიტიმურობაა. პარტიების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ არჩევნებმა დარღვევებით ჩაიარა. პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა თვლის, რომ არჩევნები მასობრივად გაყალბდა და მიაჩნია, რომ ოპოზიცია აუცილებლად უნდა გაერთიანდეს.

„უნდა ვთქვათ რაც იყო და ამომრჩეველი არ უნდა მოვატყუოთ. ოპოზიციური ერთობა ერთ-ერთი გასაღებია, თუ გვინდა რომ ივანიშვილის რეჟიმს დავუპირისპირდეთ. ანანიზმია საუბარი პრორუსულობაზე და პროდასავლურობაზე, მთავარი არის ივანიშვილის მთავრობის დემონტაჟი,“ — აცხადებს კუკავა.

(ანანიზმი კი არა **ონანიზმი,** შე მართლა ანანისტო).

არჩევნების გაყალბებას ადასტურებენ „თავისუფალ დემოკრატებშიც“, თუმცა მათ მიაჩნიათ, რომ დარღვევები იმდენად მასშტაბური არ იყო, რომ პარლამენტი არალეგიტიმურად გამოცხადდეს.

არჩევნების დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ საგამოძიებო კომისიის შექმნას პარლამენტში გეგმავს „პატრიოტთა ალიანსი“.

ოპოზიციური აჯაფსანდალი და ხალხის ნერვების წყვეტა გრძელდება...

მინისტრი სტუდენტებს ანგარიშს აბარებს

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტებს შეხვდა და სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე ესაუბრა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მინისტრმა სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია მსჯავრდებულთა რისკების მიხედვით დაყოფაზე, სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვასა და დაწესებულებებში მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობაზე.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სტუდენტებს უწყებაში დაგეგმილი სიახლეებიც გააცნო. კახა კახიშვილის განცხადებით, უახლოეს მომავალში პარლამენტში წადგენილი იქნება საკანმონმდებლო ცვლილებები, რომელიც მნიშვნელოვნად დახვეწავს კანონმდებლობას და გააუმჯობესებს პენიტენციური სისტემის საქმიანობას.

„დამთავრდა დრო, როდესაც საპატიმრო დაწესებულებაში ადამიანებს მხოლოდ იზოლაციის მიზნით სვამდნენ. დღეს მსჯავრდებულის ციხეში ყოფნის მიზანი, პირველ რიგში, მისი რესოციალიზაციაა,“ — განაცხადა კახა კახიშვილმა, რომელმაც სტუდენტებს ალტერნატიული სასჯელების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია.

კახა კახიშვილის თქმით, საინტერესოა, რომ სტუდენტები კარგად არიან ინფორმირებულნი სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ და შეხვედრაზეც მომზადებულები მოვიდნენ.

„ქართველმა საზოგადოებამ არცთუ ისე დიდი ხნის წინ ბევრი კითხვა დასვა იმასთან დაკავშირებით, რა ხდებოდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და როგორ იყო იქ ადამიანის უფლებები დაცული. დღეს ამ კითხვებზე პასუხი გაცემულია. შეხვედრამ საქმიან ვითარებაში ჩაიარა, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ უშუალოდ მინისტრისაგან მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე,“ — განაცხადა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა გია მეფარიშვილმა.

რატომ ვართმევთ ლარს საქართველოს სახელმწიფოებრივი სიმბოლოს ფუნქციას?!

2016 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმოქცევაშია 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები, რომელიც ძველი ემისიის 100-ლარიან ბანკნოტებთან ერთადაა მიმოქცევაში.

100 ლარის ნომინალის განახლებულ ბანკნოტებს აქვს ინოვაციური სიახლეები (მასზე დატანილია ნომინალის ამომცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის, გაუმჯობესებულია მასალა და დამცავი მექანიზმები, რაც მისი გამოყენების ხანგრძლივობასა და უსაფრთხოებას გაზრდის და სხვ.), თუმცა, მას აქვს იგივე ნაკლი, რაც 20 და 50 ლარის ნომინალის განახლებულ ბანკნოტებს, რომელიც მიმოქცევაშია 2016 წლის 1 თებერვლიდან.

ამის შესახებ მე ჯერ კიდევ ადრე დავწერე (იხ.მიხეილ ჯიბუტი: რატომ გაქრა ლარის ახალ კუპიურებზე სახელმწიფო – საქართველოს სახელი!?), სადაც ვამბობდი: **„მიმაჩნია არასწორად, როდესაც ლარის ახალ კუპიურებზე გაქრა სახელმწიფოს – საქართველოს დასახელება“.**

საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ვკითხულობთ: **„საქართველოს ფულის ერთეულია „ლარი“** (მუხლი 34. პუნქტი 1)“, **ანუ საქართველოს სახელმწიფოს ფულია ლარი.** საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ **„საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“** (მუხლი 1. პუნქტი 3).

ლარი არის სახელმწიფო – საქართველოს ფული და მასზე წარწერა „საქართველო“ უნდა აღსდგეს.

სანამ გვიან არაა, უნდა ჩასწორდეს 100-ლარიანისა და სხვა ნომინალების მატრიცები!!!“

ეს ითქვა ცხრა თვის წინათ!

სამწუხაროდ, ეს მოწოდება დარჩა შეუსმენელი ხელისუფლების მხრიდან.

მართალია, თითქოს ოფიციოზმა იგრძნო „უხერხულობა“ (ან უხერხულობის თავიდან ასაცილებლად – ახალ კუპიურაზე დასახელება „საქართველო“ აღდგენილი არ არის, ამავე დროს, ხელმოწერა კვლავ საქართველოს ეროვნული ბანკის ძველი პრეზიდენტისაა) და საზოგადოებას განუმარტა, რომ **„ინფორმაციისთვის, 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები 20 და 50 ლარის ნომინალის ბანკნოტებთან ერთად განახლდა. შეგახსენებთ, რომ 20 და 50 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები მიმოქცევაშია 2016 წლის 1 თებერვლიდან. რაც შეეხება 5 და 10 ლარის ნომინალის ბანკნოტებს, განახლდება (ხაზგასმა ჩემია – მ. ჯ.) მოგვიანებით.“**

ხდება ასეც. ფული მომზადებულია და მოგვიანებით ხდება მისი მიმოქცევაში გაშვება. ასე იყო ლარის თავდაპირველად მიმოქცევაში გაშვებისას. ის მომზადდა 1993 წელს და მიმოქცევაში გაუშვეს 1995 წელს.

თუმცა, აქ კითხვა სხვაგვარად უნდა დავსვათ: **რას გულისხმობს საქართველოს ეროვნული ბანკი სიტყვების – „ერთად განახლდას“ – ქვეშ?**

თუ იმას, რომ 20, 50 და 100-ლარიანი კუპიურები ახალი დიზაინით ერთდროულად დამზადდა, ერთდროულად მოხდა მათი დასაწყობება და მათი გამოშვება ბრუნვაში სხვადასხვა დროს ნაკარნახევი იყო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე, მაშინ გასაგებია, რატომ არ მოხდა ზემოთ აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება და რატომ არაა მასზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კობა გვენეტაძის ხელმოწერა. **ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებას უკვე აინტერესებს:** რატომ არ იქნა სამივე ნომინალის ბანკნოტები მიმოქცევაში ერთდროულად გამოშვებული? და რამ განაპირობა მისი ახლა გამოშვება?

უნდა დაისვას კითხვა იმის გასარკვევადაც, **თუ რას გულისხმობს საქართველოს ეროვნული ბანკი სიტყვებში – 5 და 10 ლარის ნომინალის ბანკნოტების მოგვიანებით განახლების ქვეშ?**

გულისხმობს იმას, რომ ისინიც უკვე დამზადებულია, დასაწყობებულია და მიმოქცევაში გამოვა მოგვიანებით არსებულის გასაახლებლად, თუ მათი დიზაინი, მატრიცა ჯერ მომზადებული არაა, ფული დაბეჭდილი არ არის და მოგვიანებით მოხდება ეს ყველაფერი? თუ ეს ასეა, მაშინ ვთხოვ საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას გაითვალისწინოს ზემოთ გამოთქმული შენიშვნები – **აღადგინოს ლარზე სახელმწიფო – საქართველოს სახელი და ახალი კუპიურები გამოუშვას ნდობის გამომწვევი ხელმოწერებით.**

უნდა დამერწმუნოს საქართველოს ეკონომიკის მესვეურები, რომ ფულისადმი ნდობა მეტია, თუ ჩანს, რომ მის უკან დგას მთელი სახელმწიფო და არა მხოლოდ ერთი ინსტიტუტი, როგორი პატივსაცემი არ უნდა იყოს იგი.

იმედია, ეს წერილიც წინას მსგავსად არ დარჩება **„ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.**

მიხეილ ჯიბუტი

რუსეთ-სომხეთის სამხედრო ერთობა და... უსუსური საქართველო

რუსეთი **და სომხეთი ერთობლივ სამხედრო დაჯგუფებას ქმნიან. შესაბამის განკარგულებას უკვე მოაწერა ხელი რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. ორი ქვეყნის შეთანხმება ჯერჯერობით მხოლოდ პროექტის დონეზეა, თუმცა ტექსტი უკვე იწვევს ანალიტიკოსთა უკმაყოფილებას როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში. რის გაკეთებას აპირებს რუსეთი ძალების გაერთიანებით სომხეთთან და მოსალოდნელია თუ არა საქართველოს ინტერესების ხელყოფა?**

ვლადიმირ პუტინის მიერ ხელმოწერილი განკარგულება სამართლებრივი ინფორმაციის ოფიციალურ ინტერნეტპორტალზე 14 ნოემბერს გამოქვეყნდა. ერთგვერდიანი დოკუმენტი გვატყობინებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი მხარს უჭერს სომხეთთან ერთად ორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის ინიციატივას, თუმცა საბოლოო შეთანხმება მიღწეული არ არის ერევანსა და მოსკოვს შორის. შემდგომი ნაბიჯების გადადგმას რუსეთის პრეზიდენტი თავდაცვისა და საგარეო უწყებებისგან მოელის.

„დაევალოს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად, გამართოს მოლაპარაკებები სომხეთის მხარესთან და, შეთანხმების მიღწევის შემდეგ, დოკუმენტს ხელი მოაწეროს რუსეთის ფედერაციის სახელით“.

როგორც უკვე ითქვა, რუსეთსა და სომხეთს შორის ჯერჯერობით დეტალები საბოლოოდ შეთანხმებული არ არის, მაგრამ რუსულენოვანი მედია საგანგებოდ აღნიშნავს, რომ შეთანხმების პროექტი, რომელიც მთავრობამ გადაუგზავნა პრეზიდენტს, მიზნად ისახავს უსაფრთხოების უზრუნველყოფას კავკასიის რეგიონში. ტექსტის თანახმად, დაჯგუფება უზრუნველყოფს ადეკვატურ რეაგირებას შეიარაღებული თავდასხმის (აგრესიის) დროს, ასევე მხარეთა სხვა გამოწვევებისა და საფრთხეების წინააღმდეგ, რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდასაჭერად.

სომხეთისა და რუსეთის ახალ გადაწყვეტილებას ექსპერტთა წრეებში ძირითადად უკავშირებენ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტსა და ბაქოს მიერ მრავალგზის დეკლარირებულ სურვილს ნებისმიერ ფასად დაიბრუნოს ეს ტერიტორია. ანალიტიკოსების ნაწილი ფიქრობს, რომ ერთობლივი დაჯგუფების შექმნით რუსეთი სომხეთის მხარდაჭერასა და, გარკვეულწილად, დამშვიდებასაც ცდილობს, რადგანაც, მაგალითად, ახლო წარსულში რუსეთმა დიდი რაოდენობის იარაღი მიჰყიდა აზერბაიჯანს, რაც ბუნებრივად გამოიწვევდა სომხეთის უკმაყოფილებას.

ახალ ინიციატივას დიდწილად სწორედ ყარაბაღის საკითხს უკავშირებს ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძეც,** თუმცა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ საფრთხეებზეც ლაპარაკობს:

„ეს სახიფათო შეიძლება, აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, თუკი განვითარდება ისეთი სცენარი, როდესაც რუსეთს დასჭირდება დერეფნის გაჭრა საქართველოს გავლით თავისი სამხედრო თუ სამოქალაქო ტვირთების გასატარებლად იმ შემთხვევაში, თუკი კიდევ უფრო დაიძაბება სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში... გარდა ამისა, ასეთი მსხვილი სამხედრო დაჯგუფების შექმნა ჩვენს მეზობელ ტერიტორიაზე, ბუნებრივია, საქართველოსთან მიმართებითაც ზრდის საფრთხეებს.“

რუსეთისა და სომხეთის ერთობლივი სამხედრო დაჯგუფების შექმნა აზერბაიჯანს რომ არაფრით გაახარებს, ეს ბევრისთვის არის ნათელი, მაგრამ იდეას მოწინააღმდეგეები სომხეთშიც ჰყავს. როგორც რადიო „თავისუფლებას“ უთხრა ერევნელმა პოლიტოლოგმა **რუბენ მეგრაბიანმა:**

„ეს არის, ასე ვთქვათ, (რუსეთის) საპასუხო ნაბიჯი ნატოსა და საქართველოს ურთიერთობების გაძლიერების გამო და რუსეთი მიზნად ისახავს საკუთარი პოზიციების განმტკიცებას რეგიონში. ეს კი სომხეთის სუვერენიტეტის ხარჯზე კეთდება... გასაგებია, რომ ამ ეტაპზე სომხეთის მთავრობაში ვერავინ შეეწინააღმდეგება მოსკოვის ასეთ უღირს წინადადებას და ერევანი იტყვის, რომ ახალი გადაწყვეტილება შეესაბამება სომხეთის ინტერესებს. მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო სომხეთის ინტერესებთან“.

რუბენ მეგრაბიანი დარწმუნებულია, რომ ახალი დაჯგუფება მიზნად არ ისახავს სომხეთის მხარდაჭერას მთიანი ყარაბაღის საკითხთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება არ მალავს დაუძლეველ სურვილს დაიბრუნოს მთიანი ყარაბაღი. ამის თქმის საშუალებას კი სომეხ პოლიტოლოგს აძლევს რუსეთ-სომხეთის შეთანხმების პროექტის ტექსტში არსებული წინადადება, რომ მომავალი დაჯგუფება მიმართული არ იქნება რომელიმე მესამე ქვეყნის წინააღმდეგ.

რუბენ მეგრაბიანის სიტყვები მიანიშნებს, რომ სომხეთი მეტს მოელოდა რუსეთისგან. ეს მოლოდინი განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოჩნდა 2010 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთმა 2044 წლამდე გაახანგრძლივა თავისი სამხედრო ბაზის ყოფნა სომხეთის ქალაქ გიუმრიში. ამ შეთანხმებას რუსეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა და მისმა სომეხმა კოლეგამ სერჟ სარქსიანმა 20 აგვისტოს მოაწერეს ხელი. ითქვა, რომ რუსეთი იღებს ვალდებულებას, დაიცვას სომხეთის უსაფრთხოება და რომ ამით კიდევ უფრო გამყარდება რუსეთის სამხედრო პოზიციები სამხრეთ კავკასიაში. მართალია, ეს საკითხი პირდაპირ არ დაუკავშირებიათ საქართველოსთვის, მაგრამ როდესაც რუსეთის ბაზის ვადის გახანგრძლივების აუცილებლობაზე ლაპარაკობდა, მედვედევმა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებიც გაიხსენა:

„ჩვენ 2008 წელს არცთუ მარტივი მოვლენების გადალახვა მოგვიხდა და ჩვენ არ გვსურს, რომ კავკასიაში იგივე მოვლენები განმეორდეს“.

ლელა კუნჭულია

ქურდი და თანაც... „მეცნიერი“ ქოსიკო

ШЕВАРДНАძИСА და სააკაშვილის რეჟიმების მარადიულ და ერთობ ამბიციურ წევრს **მიხეილ მაჭავარიანს** ყრმობის წლები სოფელში გაუტარებია. იქ გაღვივებია მიწის სიყვარული, მისი შეცნობის სურვილი და ამიტომაც უმაღლესი სასწავლებელი ნიადაგმცოდნის სპეციალობით დაუსრულებია. მაგრამ საქმით ვეღარაფერი გაუკეთებია. ჩავლილი საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, ეროვნული მოძრაობის აღზევების დროს, ქართველების დაპირისპირებით „შეძრული“ ზურაბ ჟვანიას „მწვანეთა პარტიის“ წევრი გამხდარა. მერე, ქვეყნისა და ერის მისნაირი მოღალატე ქართველებისგან, რუსისტემაში ტესტირებული გამოცდები დაიწყო, ხმა დაირხა, მაჭავარიანმა დიდი ფული იშოვაო. თითოეული ჩამბარებელი ორმოც ათასს იხდისო!.. მერე, ისიც ბევრჯერ ითქვა, რომ როდესაც ქვეყნის შემოსავლებს ზურაბ ჟვანია და მიხეილ მაჭავარიანი განაგებდნენ, უკვალოდ გამქრალა და აორთქლებულა 970 მილიონი ლარი!.. „ატკატების მასტერად“ ჩამოყალიბებულმა, ფულის მიტაცებით გააღარიბა ქვეყანა და ამან ყველაფერმა, სრულიად უმტკივნეულოდ ჩაიარა. გაღატაკებული ადამიანების ფულით შეკოწიწებული ბიუჯეტის გამომხვრელს ყველაფერი შერჩა.

ლალი ანთია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისთვის“ ხელმძღვანელი: „შემოსავლების მინისტრობის დროს მიშა მაჭავარიანს 3 მილიონი ლარი რომ აქვს შეჭმული, სააკაშვილმა კარგად იცის და მაჭავარიანს ჟვანიას მკვლელობაზე ხმა რომ ამოეღო, სააკაშვილი მას იმ წუთში დაიჭერდა! მოპარული მილიონები რომ შეინარჩუნოს და ციხეში არ წავიდეს, სწორედ ამიტომაა მაჭავარიანი დღესაც რომ გაიძახის, ჟვანია გაზით გაიგუდაო“ („ასავალ-დასავალი“, 2014 წ. №1).

...მიშიკო თანდათან გავლენიანი ფიგურა ხდებოდა და სამსახურებრივი საქმეების მომგვარებელი, პირადი ცხოვრებისეული საქმეების მომკვარახჭინებელიც შეიქმნა. და თუ არა იგი, ყველასთვის უცნობ მის სიმამრს თბილისის პროკურორად არავინ წამოსვამდა. მაგრამ „გენსეკმა“, მიშიკამ ზედმეტად გათამამებულ მაჭავარიანს არ მოუწონა ასეთნაირად „გაჯეჯილება“ და გაპროკურორებული პიროვნება „პროპკასავით“ მოისროლა. სამაგიეროდ, „გულმომბალმა“ ატამანმა, არაკაცურად მოლაქუცე თანამოსაქმის ძმაზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან ნიუიორკში წარმომადგენლად დანიშნულ ვანიკოზე არაფერი თქვა. მიშიკომ მაშინაც დახუჭა თვალი, როცა იგივე ვანიკო, მადნეულის ოქროს საბადოს ავსტრალიელი ინვესტორების ბიზნესპარტნიორი რომ გახდა. თქმა არ უნდა, მაშინ კარგა ბლომად ოქროსა და ფულს მოხვეტავდა სარფიან საქმესა და ქურდბაცაცობას ხელმოკიდებული „დიპლომატყოფილი“. ცხადია, ნაქურდალის დადგენილ ნაწილს, ძმები უსტაბაშს უზიდავდნენ. მოგვიანებით, ძმაზე მზრუნველმა შანსიანმა და ქლესა მიშკუნტულამ, ვანიკო ხან მარგველაშვილს შესტენა და ხანაც „მსოფლიო ბანის“ სახელის საკუთარი პერსონისთვის მიმწებებელ პაატა ბურჭულაძეს. მაგრამ, არაფერი გამოუვიდა – ეტყობა, მასავით ყველაზე და ყველაფერზე გადამლაჯებელი არ არის ძამიკო.

ქვემძრომმა მაჭავარიანმა მეუღლესაც ზუსტად მორგებული სამუშაო გაუშანსა – თბილისის მერიაში, არაფრისსაკეთებელი საქმის „წამყვან სპეციალისტად“ წამოასმევინა. აბა, გოიმივით და ბუსავით სახლში ხომ არ გამოიკეტებოდა „ამხელა კაცის“ თანამეცხედრე?

მაშინ, როცა ქართველების უმრავლესობა ავადმყოფობითა და შიმშილით სულს ღაფავდა, მერიის „წამყვან სპეციალისტს“, თურმე მოძველებული ავტომობილით გრიალი არ მოუსურვებია და 31 700-დოლარიანი ცინცხალი მანქანა შეუძენია“ („ახალი თაობა“, 2015 წ. №228).

„26 წელია, პარლამენტის წევრი ვარ, მინისტრიც ვიყავი, მაგრამ არაფერი მიშოვია. წაღებული რომ მქონდეს მილიონები, შევარდნაძე რამეს შემარჩენდა?“ („ახალი თაობა“, 2016 წ. №73).

გაზეთი „ახალი თაობა“; 2016 წელი; №300: „მიხეილ მაჭავარიანის ოჯახის საკუთრებაში უძრავი ქონების 9 ობიექტი ირიცხება. აქედან პარლამენტარი 6 ობიექტის სრული მესაკუთრეა. მათ შორის: 202 კვმ. ფართობის ბინა თბილისში; 5504 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი საჩხერეში; 70 კვ.მ ფართობის საცხოვრებელი სახლი საჩხერეში; 153 კვ.მ ფართობის საცხოვრებელი სახლი თბილისში; ორი 21 კვ.მ ფართობის ავტოფარეხი თბილისში.

რაც შეეხება დანარჩენ 3 ობიექტს – თბილისში მდებარე 2 მიწის ნაკვეთსა და 1 არასაცხოვრებელ ფართს – მათი მფლობელები მეუღლე, დედა და შვილები არიან.

მაჭავარიანის ოჯახის შემოსავლის გარკვეულ ნაწილს სწორედ აღნიშნული ობიექტების გაქირავების შედეგად მიღებული თანხა წარმოადგენს. კერძოდ, გასულ წელს ამ გზით ოჯახმა 42 236 ლარი და 27 000 დოლარი მიიღო.

მერე იყო და, ნაციონალების მომრევ-ჭიტლაყამომრტყმელ „ოცნების“ ხელისუფლებას დასავლეთმა „კოჰაბიტაცია“ აჰკიდა და შეპირებული სამართლიანობის აღდგენა, მოგონებად გადაიქცა. სწორედ ეს ეწადათ ქართველების მოღალატეებს, დღემდე რომ აღმა-დაღმა დანავარდობენ და ციხე-საპყრობილეების ჯურღმულებში არა ლპებიან.

მიხეილ მაჭავარიანი: „ბატონ ზურაბ ჟვანიას მეგობარი ვარ, ბატონ მიშა სააკაშვილის მეგობარი ვარ, გია ბარამიძის მეგობარი ვარ და, რაც მთავარია, ვარ პრეზიდენტ შევარდნაძის გუნდის წევრი“ („ასავალ-დასავალი“, 2000 წ. №10).

ამას, პირადი მდგომარეობის სული ჯარის დახმარებით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების დამხობისთანავე, კვლავ აღზევებულ შევარდნაძესთან მიჩოჩებულა და „მოქალაქეთა კავშირში“ გაერთიანებულა.

შევარდნაძემ უმალ იყნოსა გაიძვერა და მლიქვნელი, ადამიანების უყოყმანოდ გამწირველი და ცივსისხლიანი მიშიკუნა და კავშირის „გენსეკად და კასირად“ დანიშნა.

თამაზ ელიზბარაშვილი, ბიზნესმენი: „15 000 დოლარამდე ვიხდიდი ყოველთვე... ამ თანხას პირადად მიხეილ მაჭავარიანს ვაძლევდი ხელში. მაგრამ, იმას ვერ ვიტყვი, რომ ამ თანხას ჯიბეში იდებდა. ეს ხმარდებოდა „მოქალაქეთა კავშირს“ („კვირის ქრონიკა“, 2012 წ.).

არა ბიჭო, გველაძუა მაჭავარიანი თავის ჯიბეს აიცდენდა და გაქნილი ბიზნესმენისთვის შეწერილ ფულს ბოლო თეთრამდე „მოქალაქეთა კავშირის“ სალაროში შეიტანდა. რასაკვირველია არა! ამას, წუწკი „კასირი“, ალბათ, საკუთარი წილის მოტეხვის მერე გააკეთებდა. მოგვიანებით, გამოცდილებადაგროვილი ნაცების „კასის ნაჩალნიკობის“ დროსაც უეჭველად იგივეს ჩაიდენდა. თანაც, ელიზბარაშვილისნაირები ხომ სხვებიც იყვნენ, მათაც ხომ ბლომად „მაყუთს აყრევინებდნენ?..“ ამ გზით დაგროვილ დიდ თანხებს მერე ერთმანეთში ინაწილებდნენ მოქკავშირისა და ნაციონალური მოძრაობის ბელადები და მათი ხროვის წევრები.

ცხადია, ფულის მშოვნელ-მიმცუნცულებელ ხელის ბიჭს მაჭავარიანს, არც შევარდნაძე და მით უფრო, არც სააკაშვილი ციხეში არ ჩააყუდებდნენ.

მალე, შევარდნაძემ მსოფლიოში არსად არარსებული საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო – ფულის საკეთებელი კანტორა გახსნა. თავდაპირველად, მინისტრობა გიორგი ბარამიძეს შესთავაზა. და, მისდა გასაკვირად, უარი მიიღო. სამაგიეროდ, მაჭავარიანმა განაცხადა თანხმობა და მინისტრი გახდა. გაიძვერა კაცუნამ სწრაფად აითვისა ოსტატის რჩევა-დარიგება.

როგორც კი საგადასახადო მერიაში, არაფრისსაკეთებელი საქმის „წამყვან სპეციალისტად“ წამოასმევინა. აბა, გოიმივით და ბუსავით სახლში ხომ არ გამოიკეტებოდა „ამხელა კაცის“ თანამეცხედრე?

მაშინ, როცა ქართველების უმრავლესობა ავადმყოფობითა და შიმშილით სულს ღაფავდა, მერიის „წამყვან სპეციალისტს“, თურმე მოძველებული ავტომობილით გრიალი არ მოუსურვებია და 31 700-დოლარიანი ცინცხალი მანქანა შეუძენია“ („ახალი თაობა“, 2015 წ. №228).

„26 წელია, პარლამენტის წევრი ვარ, მინისტრიც ვიყავი, მაგრამ არაფერი მიშოვია. წაღებული რომ მქონდეს მილიონები, შევარდნაძე რამეს შემარჩენდა?“ („ახალი თაობა“, 2016 წ. №73).

გაზეთი „ახალი თაობა“; 2016 წელი; №300: „მიხეილ მაჭავარიანის ოჯახის საკუთრებაში უძრავი ქონების 9 ობიექტი ირიცხება. აქედან პარლამენტარი 6 ობიექტის სრული მესაკუთრეა. მათ შორის: 202 კვმ. ფართობის ბინა თბილისში; 5504 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთი საჩხერეში; 70 კვ.მ ფართობის საცხოვრებელი სახლი საჩხერეში; 153 კვ.მ ფართობის საცხოვრებელი სახლი თბილისში; ორი 21 კვ.მ ფართობის ავტოფარეხი თბილისში.

რაც შეეხება დანარჩენ 3 ობიექტს – თბილისში მდებარე 2 მიწის ნაკვეთსა და 1 არასაცხოვრებელ ფართს – მათი მფლობელები მეუღლე, დედა და შვილები არიან.

მაჭავარიანის ოჯახის შემოსავლის გარკვეულ ნაწილს სწორედ აღნიშნული ობიექტების გაქირავების შედეგად მიღებული თანხა წარმოადგენს. კერძოდ, გასულ წელს ამ გზით ოჯახმა 42 236 ლარი და 27 000 დოლარი მიიღო.

მერე იყო და, ნაციონალების მომრევ-ჭიტლაყამომრტყმელ „ოცნების“ ხელისუფლებას დასავლეთმა „კოჰაბიტაცია“ აჰკიდა და შეპირებული სამართლიანობის აღდგენა, მოგონებად გადაიქცა. სწორედ ეს ეწადათ ქართველების მოღალატეებს, დღემდე რომ აღმა-დაღმა დანავარდობენ და ციხე-საპყრობილეების ჯურღმულებში არა ლპებიან.

მიხეილ მაჭავარიანი: „ბატონ ზურაბ ჟვანიას მეგობარი ვარ, ბატონ მიშა სააკაშვილის მეგობარი ვარ, გია ბარამიძის მეგობარი ვარ და, რაც მთავარია, ვარ პრეზიდენტ შევარდნაძის გუნდის წევრი“ („ასავალ-დასავალი“, 2000 წ. №10).

ამას, პირადი მდგომარეობის

ნირწამხდარმა და კედელთან მიყენებულმა, ჩარეცხილმა ნაცმა 28 ოქტომბერს, „რუსთავი-2“-დან, სახეზე უსიამოდ ღიმილმოფენილმა და ნირწამხდარმა, პოლიტიკიდან წასვლის განცხადება გააკეთა. ასეთი ნაბიჯის გადადგმის „ძირითად მიზეზად“ კი, მშობლების ოდინდელი სურვილის – მისი „მეცნიერად“ ხილვის შესრულება დაასახელა.

მექრთამეობასთან ერთად, კიდევ ამ სახელმწიფო დანაშაულებრივი საქმის კეთებისთვის ამყოფა თავისთან მიშიკამ ქოსიკო მაჭავარიანი და არ დააჭერინა. ისე არ „გაასაღა“ და არ გააქრო, როგორც უკეთებდა ხოლმე მისთვის უკვე არაფერში გამოსაყენებელ, საფრთხის მომტან ადამიანებს.

ირინა სარიშვილი, პოლიტიკური მოძრაობა „იმედის“ ლიდერი: „მიხეილ მაჭავარიანი თავისი ჟესტიკულაციით, ლაპარაკის მანერით, ლექსიკონით, ქალის ასოციაციას ქმნის: თუ ვინმეს აქებს – გულანთებული ქალისას, თუ ლანძღავს – გაკაპასებული, გაანჩხლებული დედაკაცისას, კაცის ლაპარაკს ნამდვილად არ ჰგავს. როცა ვინმეს აქებს, არ ვიცი, რით შეიძლება დამთავრდეს მისი გამოსვლა, ხოლო როცა ლანძღავს, მუდამ მრჩება შთაბეჭდილება, წყევლას მოაყოლებს-მეთქი: „შენ არ გაგითენდეს ხვალინდელი დღე, შენ ჩაგდე მიწაში!..“ (გაზეთი „გენერალსიმუსი“, 2005 წ. №10).

„მიშა მაჭავარიანი ძალიან ჰგავს მანდილოსანს იმით, რომ კარგად იწყევლება, სახკომობის შესაფერის თვისებებიც აქვს, თანაც, ქართულად უაქცენტოდ ლაპარაკობს“ („ასავალ-დასავალი“, 2005 წ. №51).

„მიხეილ მაჭავარიანმა ნაკლებად გამოიყენოს თავის ლექსიკონში წყევლა, ქცევაში კი თვისებები, რომლებიც ცოტა ხმაურიან ქალებს რომ ახასიათებთ ხოლმე. ერთი სიტყვით, უფრო კაცური გახდეს“ („ასავალ-დასავალი“, 2007 წ. №6).

ჩვენი კომენტარი: აღმოჩნდა, შხამ-გესლიანი და გულბოროტი დიაცი, გამადიდებელი მინით გულდაგულ დაჰკვირვებია არაკაც მაჭავარიანს. ზედმიწევნით შეუსწავლია და ძირძირობამდე ჩაჰკირკიტებია „ნიადაგმცოდნე“ მიშკუნტულას და აბსოლუტური შეუმცდარობით შეუფასებია იგი.

მართლაც გულისამრევია და რაღაცნაირად დამაეჭვებელი მანჭვა-გრეხით, ხელების ჰაეროვანი მოძრაობით, თითების პარჭყვითა და უსიამო-მინავლებული ხმით მოლაპარაკე მაჭავარიანის ხილვა.

შალვა ნათელაშვილის საარჩევნო გაზეთი „სიმართლე“; 2008 წელი, მაისი: „უმსხვილესი მაფიოზი და არჩევნების ერთ-ერთი გამყალბებელი მიხეილ მაჭავარიანი, რომელმაც კვარციტის ოქროს საბადოში, იმ ძვირფასი მეტალის ხსენება გააქრო“.

„მიხეილ მაჭავარიანის ძმა ოქროს საბადოში ავსტრალიელების ბიზნესპარტნიორია! რომელი ოქროს გამომგონებელი მაჭავარიანები არიან?! იქ რა მილიონებიც ტყდება ხომ ყველამ კარგად იცის?“ („ჯორჯიან თაიმსი“, 2005 წ. 24 თებერვალი).

მამუკა კაციტაძე, ყოფილი პარლამენტარი: „მიხეილ მაჭავარიანი არის პიროვნება, რომელსაც კლასელები ვალოდია ჯინჭარაძეს ადარებენ. ერთი სიტყვით, პოლიტიკურ ტალღაზე მოსული ახალგაზრდა კარიერისტია, ნიჭიერებით არ გამოირჩევა“ („ასავალ-დასავალი“, 2005 წ. №38).

ადა მარშანია, ყოფილი პარლამენტარი: „მიხეილ მაჭავარიანი პირში გიცინის და ზურგს უკან სამარეს გითხრის. ძალიან, ძალიან საშიში ადამიანია“ („ასავალ-დასავალი“, 2005 წ. №37).

რეზო ამაშუკელი, პოეტი: „მიშა მაჭავარიანი რომ გამოდის, მეცინება. მაგათი მოლარეებიც ვიცი, რა ფულებსაც იღებდნენ. ჩემთან მოვიდა ხალხი ხელმოწერებით, მიშა მაჭავარიანს აბეზღებდნენ და პირდაპირ ხელს ადებდნენ“ (ჟურნალი „გუმბათი“, 2009 წ. №1).

შეუძლებელია ამდენი პიროვნების ნათქვამის დაუჯერებლობა. გვჯერა, რომ რასაც ამბობენ სიმართლეა და ამისი დამამტკიცებელი ფაქტები და საბუთებიც აუცილებლად ხელთ ექნებათ, თორემ ასე დაჯერებით, საქვეყნოდ თავს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდებდნენ. გვჯერა, დადგება დრო და ყველაფერი გაირკვევა. თუმცა, დღესაც ყველაფერი კარგად ცნობილი და ნათელია. უბრალოდ, ყველაფერი იურიდიულად უნდა გაფორმდეს და პროკურატურა-სასამართლოს გადასცენ.

გაზეთი „ქრონიკა“, 2009 წელი, №33: „საქართველოს მოქალაქეების ინტერნეტული გამონათქვამები:

„მიხეილ მაჭავარიანს რომ ვუსმენ, მართლა მიჩნდება კითხვა: შევარდნაძის და კორუფციის სიმბოლო რატომ ზის პარლამენტში?

ამბობენ, არჩევნების გაყალბების მთავარი კოორდინატორ-შემსრულებელი მიშა მაჭავარიანიაო.

მიხეილ სააკაშვილის ხელის ბიჭია პარლამენტში!

ერთი ქლესა ტიპია!

საშინელი ცინიზმი აქვს!

მოქალაქეთა კავშირი იყო პარლამენტში რომ შეიჭრნენ, ვიღაცამ სახეში აარტყა და გამოსირებული ბავშვივით იყურებოდა.

მოქალაქეთა გენსეკი იყო, მერე ჩამოალაბორანტეს. უსახელო გმირია, ძალიან ბევრს უჩალიჩებს მიშას.

მაგარი თახსირია გოგორიშვილთან ერთად“.

ვფიქრობთ, ნაციონალებისგან შეწუხებული ადამიანების ეს გამონათქვამები, საკუთარი თავის პატივისცემის გამო, ინტერნეტით ერთგვარად თავშეკავებულად არის გამოთქმული. თორემ, სინამდვილეში, მათი ჯოგის წევრებს გარეთ, ცოცხალ-მკვდრებს რა გინებასა და წყევლასაც უთვლიან, კარგად იცის მაჭავარიანმაც და მისმა თანამოაზრეებმაც.

მიხეილ მაჭავარიანი: „ეჭვი გეპარებათ, რომ არჩევნებს ჩვენ მოვიგებთ? ეს ასე იქნება და ამას ობიექტური მიზეზები აქვს. არჩევნების მოგებაში ის გამოცდილებაც დაგვეხმარება, რომელიც დაგვიგროვდა. მეეჭვება, რომ საარჩევნო კამპანია ვინმემ ჩემზე უკეთესად აწარმოოს.

ჩვენი ლიდერი არჩევნებისთვის ძალიან წარმატებული იქნება. მიშა უკრაინაში დიდ ამბებს მოაწყობს!“ („ახალი თაობა“, 2016 წ. №45).

„არჩევნები ოთხ დღეში ტარდება. ქუჩაში დავდივართ და ვხვდებით ხალხის განწყობას. ჩვენი პროგრამის პრეზენტაციები და მიტინგები საუკეთესო იყო. ამ არჩევნების მოგების კარგი შანსი გვაქვს.

ხალხის განწყობიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, არჩევნებს აუცილებლად მოვიგებთ. ყველას გასაგონად ვამბობ, რომ 9 ოქტომბრიდან მილოცვების მისაღებად მზად ვართ“, — განუცხადა „ახალი თაობის“ ჟურნალისტს მიხეილ მაჭავარიანმა.

ხომ გაგიგიათ, კაცი ბჭობდა და ღმერთი კი იცინოდაო. ისე დაემართა ქოსიკო ნაცკაცუნას. 9 ოქტომბერს საგანგებოდ გამოპრანჭულს, მილოცვების მიღების ნაცვლად, თავზარი დაეცა — ნაციონალები ისევ დამარცხდნენ!

ელდა ეცა და დაღონდა გაქნილი და ფლიდი, ნაცმოძრაობის გამოჯეჯილ-ჩაბეხრეკებული მიშა მაჭავარიანი. თანაც, ჩანს, ატამანისგან რაღაცნაირად „ლაფატკაზე“ დასმის საფრთხეც იყნოსა. თორემ პენსიამდე, პარლამენტიდან ცოცხალი თავით არ წამოვიდოდა.

დიახ, ენანება ნაცკაცუნას იქაურობის დატოვება, რადგან ორ ათეულ წელზე მეტია, თანამოსაქმე „კანონმდებლებთან“ ერთად, დღემდე გამალებულები ხრავენ ქართველების ქვეყნის დოვლათსა და ქონებას, მოუღლელად ურევენ ხელს ბევრის გამძლე ხაზინაში.

მაგრამ, სხვა გამოსავალი ვეღარანაირი მოძებნა ნირწამხდარმა და კედელთან მიყენებულმა, ჩარეცხილმა ნაცმა და 28 ოქტომბერს, „რუსთავი-2“-დან, სახეზე უსიამოდ ღიმილმოფენილმა და ნირწამხდარმა, პოლიტიკიდან წასვლის განცხადება გააკეთა. ასეთი ნაბიჯის გადადგმის „ძირითად მიზეზად“ კი, მშობლების ოდინდელი სურვილის — მისი „მეცნიერად“ ხილვის შესრულება დაასახელა.

სინამდვილეში, გაქნილსა და გაიძვერა ქოსიკო მაჭავარიანს, ასეთნაირად სურს ჩადენილი დანაშაულების გამო პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენა და გადარჩენა.

თუმცა, მთლად ფონს გასულად და გადარჩენილად ნუ დაიგულებს თავს „ნიადაგმცოდნე კანონმდებელი“. იქნებ ვინმე პრინციპული განმსჯელი გამოჩნდეს და დამნაშავე „ნამინისტრალ-ნაპარლამენტარი“ პროკურატურასა და სასამართლოს გადასცეს. იქ გამოტანილი განაჩენით, პირწმინდად მოატანინონ ნაქურდალი ფული, ქონება-დოვლათი და ხანგრძლივი დროით უკრან თავი ციხეში.

აი, იქ კი, ბნელ დილეგში გამოკეტილს, მართლაც ბლომად ექნება დრო „დისერტაციაზე სამუშაოდ“...

გელა ჯიღაური,
ნოემბერი, 2016 წელი.

სტალინის გენიალური გეგმა და თურქების „ფუჭი გასროლა“ აჭარაში

გაზეთი „Коммерсантъ Власть“-ი აქვეყნებს სტალინის საიდუმლო დეპეშებს საქართველოში მყოფი სერგო ორჯონიკიძის მიმართ, საიდანაც ირკვევა, რომ მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში, ძალით შემოჭრილი თურქეთი აჭარაში პლებისციტის ჩატარებას გეგმავდა, რითაც ცდილობდა, რომ ამ რეგიონზე გავლენა იურიდიულადაც გაემყარებინა, თუმცა სტალინის ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ გენიალური სვლით, თურქეთმა „ფუჭი გასროლა“ მოახდინა.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდგომ აჭარის ტერიტორიული კუთვნილების საკითხი სერიოზულ დაპირისპირებას იწვევდა. საქართველო და თურქეთი ბათუმის ოლქს თავიანთ ისტორიულ და განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ. 1920-იან წლების დასაწყისში საკითხი იმით გართულდა, რომ გასაბჭოებულ საქართველოს მოსკოვმა მიუთითა - ჩვენს თურქ მოკავშირეთა სურვილებს და ინტერესებს ანგარიში უნდა გავუწიოთო. ამ რთული პრობლემის მოსაგვარებლად საკმაოდ იოლი და მოხერხებული გადაწყვეტილება მოიძებნა.

აჭარას თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არასდროს ისეთი ცვლილებები არ გადაუტანია, როგორიც ეს 1910-1920 წლებში მოხდა. 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის პირობებით, თურქეთმა რუსეთს კი დაუთმო ქართველი მუსულმანებით დასახლებული ეს ტერიტორია, რომელიც ოსმალეთის იმპერიას მეთექვსმეტე საუკუნიდან ეკავა, მაგრამ სულთანი დანაკარგს არასოდეს შერიგებია.

„1914 წელს დაწყებული იმპერიალისტური ომის დროს, — წერდა 1923 წელს საბჭოთა სამხედრო დაზვერვის თანამშრომელი **ვლადიმირ იურკოვი,** რომელიც ბათუმში მუშაობდა, — **მოლების გავლენით აჭარის მოსახლეობაში რუსეთისაგან გამოყოფის იდეები გავრცელდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1918 წელს, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ, თურქეთის ჯარებმა ბათუმი ძალიან იოლად დაიკავეს“.** მაგრამ როგორც კი თურქებმა მოსახლეობის მასობრივი მობილიზება დაიწყეს თურქეთის არმიაში გაწვევის მიზნით, — აღნიშნავს ვ.იურკოვი, — აჭარლებს იმედი გაუცრუვდათ. სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებით გადაწყვიტა თურქეთის ხელისუფლებამ აჭარაზე თავისი კუთვნილების უფლება ხმის მიცემით (პლებისციტით) განემტკიცებინა. **„პლებისციტი,** — წერდა ვ.იურკოვი, — **მოსახლეობის ჭეშმარიტი ნების გამოვლენა ნამდვილად არ იყო, რადგანაც თურქი ჟანდარმები თვალს ადევნებდნენ იმ პირებს, რომლებიც თურქეთთან მიერთების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. შესაბამისად, აჭარის მცხოვრებლებს ეშინოდათ, რომ თუ ხმას არ მისცემდნენ თურქეთთან მიერთებას ან თავს აარიდებდნენ პლებისციტში მონაწილეობას, ისინი დასჯილები იქნებოდნენ“.**

1918 წლის ბოლოს თურქების ხელისუფლება ბათუმში ინგლისელთა რეჟიმით შეიცვალა. ბრიტანელებსაც ასევე სურდათ, რომ თავიანთი ხელისუფლება, ანუ აჭარის გადაქცევა დიდი ბრიტანეთის პროტექტორატად ხალხის ნების გამოვლენით განემტკიცებინათ. მოგვიანებით, (1920 წლის ივლისის დასაწყისიდან), აჭარას დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მართავდა, რომელმაც მალე დაკარგა ხელისუფლება საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტური თურქეთის ჯარების ერთობლივი შეტევის შედეგად. ბათუმში პირველები თურქეთის ჯარები შევიდნენ, მაგრამ მათი ოკუპაცია ხანმოკლე აღმოჩნდა: 1921 წლის 16 მარტს თურქეთმა აჭარის მიერთება გამოაცხადა, მაგრამ იმავე დღეს მოსკოვში უკვე გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თაობაზე ი.სტალინი კავკასიაში მყოფ ს.ორჯონიკიძეს ატყობინებდა: **„თურქებთან მიღწეული შეთანხმების შედეგად, ბათუმი საქართველოს რჩება... შეეცადე, რომ ძლიერი დარტყმით თურქები ბათუმიდან გაყარო, შემდეგ კი გამოაცხადე, რომ ეს გაუგებრობით მოხდაო“.**

მაგრამ თურქები დანებებას არ აპირებდნენ: 1922 წლის 9 ნოემბერს ი.სტალინი ასეთ დეპეშას უგზავნის რკპ(ბ) ამიერკავკასიის სამხრეო კომიტეტის მდივან ს.ორჯონიკიძეს: **„როგორც ანკარიდან მიღებული ცნობებით ირკვევა, თურქები აჭარისტანში პლებისციტის ჩატარების მოთხოვნისათვის ემზადებიან და ძართულ და თურქულ აჭარას ერთ ავტონომიად აერთიანებენ. ალბათ, თურქებს საფრანგეთი და ინგლისი მხარს დაუჭერს. თუ თურქები საიდუმლოდ ხმებს მოაგროვებენ და ეფექტს მიაღწევენ, დიდი სკანდალი მოხდება. ისე ჩანს, რომ აჭარის საბჭოთა ორგანოები და მოსახლეობის ნაწილი მხარს თურქებს უჭერენ. აუცილებელია დაუყოვნებლივ იძნას მიღებული ზომები და აჭარა პროთურქული პროვოკატორებისაგან გაიწმინდოს, ხოლო ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები კი — პანისლამისტებისაგან“.**

მომდევნო დღეს, 10 ნოემბერს, ახალი დეპეშა:

„იქნებ ასე გავაკეთოთ: ბათუმის მოსახლეობაში მასობრივი პეტიციები შევაგროვოთ მოთხოვნით, რომ ქალაქი აჭარის (ავტონომიის) შემადგენლობიდან გამოვიდეს და საქართველოს პირდაპირ შემოუერთდეს. თუ ეს ნაბიჯი გაამართლებს და ხელს შეუწყობს აჭარის საქმის მოგვარებას (საქართველოს შემადგენლობაში), მაშინ თურქების კომბინაცია ამ შემთხვევაში ფუჭი გასროლა აღმოჩნდება“.

ეს სვლა წარმატებული აღმოჩნდა: აჭარაში ხომ ყველაზე მთავარი ბათუმი იყო, როგორც ბაქოს ნავთობის დაგროვებატრანზიტის უმნიშვნელოვანესი ცენტრი. აჭარა ბათუმის გარეშე არავითარ ინტერესს არ წარმოადგენდა.

ევგენი ჟირნოვი.
ნიუსპრესი

სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევა სურთ

მიხეილ სააკაშვილს, შესაძლოა, უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვან. შესაბამისი ინიციატივით უმაღლესი რადის დეპუტატი ვადიმ რაბინოვიჩი გამოდის. ამ მოთხოვნით დეპუტატმა უკრაინის გენერალურ პროკურატურასაც მიმართა. როგორც რაბინოვიჩი აცხადებს, სააკაშვილს ჯერ უკრაინის მოქალაქეობა უნდა ჩამოერთვას, შემდეგ კი საქართველოში მისი ექსტრადიცია უნდა განხორციელდეს. ოდესის ყოფილი გუბერნატორი იმედოვნებს, რომ პრეზიდენტი პოროშენკო მის ექსტრადიციას არ დაუშვებს.

როგორ დავწეროთ დიდი ქვეყნის შვილებივით

ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების — იმავე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ — თაოსნობით თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის კედლებში დათო მაღრაძის ახალი პოეტური კრებულის — „უსადაურო“ — განხილვა გაიმართა.

შეხვედრა, რომელიც პოეზიის საღამოდაც იქცა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგემ, „კლუბ 93“-ის ხელმძღვანელმა **ზურაბ გაიპარაშვილმა** გახსნა, ვინც ის წლები გაიხსენა, ყოფილ 93-აუდიტორიაში გამართული დისკუსიასაღამოები, რომლებმაც არაერთ ახალგაზრდას გაუკვალა გზა დიდი ლიტერატურისაკენ. მათ შორის იგულისხმება დათო მაღრაძეც, ვისაც უშუალოდ კრებულის განხილვამდე უნივერსიტეტის რექტორი **გიორგი შარაშენიძე** მიესალმა და საჩუქრად ამ კედლებში მომზადებული „ვეფხისტყაოსნისა“ და „დონ კიხოტის“ ახალი გამოცემები გადასცა.

შეკრებილებს დათო მაღრაძის პოეტურ სამყაროში ჯერ **მაია ჯალიაშვილი** შეუძღვა და აღნიშნა, რომ კრებული, ასეთი თითქოსდა უცნაური სახელწოდებით „უსადაურო“, მკითხველს იმ გარემოს კარს უღებს, სადაც სახიერად იკვეთება დამოკიდებულებანი ცალკეულ მოვლენებთან, სამყაროსთან, დროსთან, რომელშიც ვცხოვრობთ. მისი თქმით, სათაური ეხმიანება რუსთველისეულ სენტენციას „სადაურსა სად წაიყვან“ და უთუოდ გულისხმობს, რომ პოეტი მთელ სამყაროში არსებობს: მართალია, ის კონკრეტული ერისა და კულტურის შვილია, მაგრამ თავისი შემოქმედებით მთელ ქვეყნიერებას ელაპარაკება. ამის დასტურია ისიც, რომ დათო მაღრაძის პოეზიას კარგად იცნობენ და აღიარებენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ქალბატონი მაიას აზრით, ის გამორჩეული ხმის პოეტიც არის, რაკი თვალში მოგხვდებათ დამოკიდებულება სიტყვასთან — მისი არტისტიზმი, მოხდენილი ენობრივი თამაშები...

„— იგი საკმაოდ ოსტატურად იყენებს ყველა ტრადიციულ და ნაცად ხერხს ჩვენს ლიტერატურაში. თუნდაც ეს სტილური მანერა, რასაც მისი მოსმენისას შევიგრძნობთ — თუნდ სიტყვის შუაზე გაწყვეტა და გადატანა — განსაკუთრებულ მუსიკალობას სძენს მის პოეზიას.

იგი ინტელექტუალი პოეტიც არის, რელიგიურ სივრცეებიდან თუ ანტიკური კულტურიდან ამოზიდული სიმბოლოებით, რომლებიც ერთგვარ კოდს უტოვებს მკითხველს გასახსნელად, ამ ყველაფერს კი თანამედროვე ელფერს სძენს დამოკიდებულება მშობლიურ ენასთან — თუნდაც ის ჟარგონები და ნეოლოგიზმები, რომლებიც არ არის თვითმიზნური და თავიანთ ფუნქციურობას იმითაც ადასტურებენ, რომ ენის პულსაციას შეაგრძნობინებენ მკითხველს“.

უფრო ვრცლად კი კრებული **როსტომ ჩხეიძემ** მიმოიხილა და თავისი გამოსვლა პავლე ინგოროყვას ნაშრომთან გადაძახილით დაიწყო, რომლის ალუზიითაც დაუსათაურებია საკუთარი მოხსენება: „დათო მაღრაძე. პოეტი. მოგზაური“. კრებულის ავტორს იგი დესპანად მოიაზრებს ქართული ლიტერატურისა დანარჩენ მსოფლიოსთან, და ისევე როგორც პავლე ინგოროყვა არ უშვებს ხელიდან ხელსაყრელ შემთხვევას, კვალში ჩაუდგეს წინარენესანსული ხანის პოეტსა და მოგზაურს იმ ეპოქის ცივილიზებული სამყაროს წარმოსახვისათვის, ასევე როსტომ ჩხეიძეც მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ფეხდაფეხ მიჰყვეს დათო მაღრაძის ყოფით და სულიერ ოდისეას, პოეტისა, რომელიც ხელშესახებად განაცდევინებს მკითხველს იმ საზოგადოებრივ-კულტურულ რეალობას, რა ფონზეც მიიკვლევს გზას საქართველოს სახელმწიფო თავისი ადგილის დასამკვიდრებლად საკაცობრიო ცხოვრებაში; მომხსენებელმა განსაკუთრებით ის სატკივარი წამოწია, ჩვენი ქვეყნიდან გასული ახალგაზრდობა ახალმოწესეთა ნიღბით რომ მოვლენია სამშობლოს და ეროვნული მისწრაფებანი, თავგანწირვა რაღაც მიწის ნაგლეჯისადმი — საქართველოდ სახელდებულის — გაუგებარ ერთგულებად მიაჩნიათ; ლიბერალი გლობალისტები ხომ იმავეს იმეორებენ, რასაც საუკუნის წინათ სჩადიოდნენ სოციალისტი გლობალისტები.

„არაფერია ახალი ამ ცისქვეშეთში.

და კვლავინდებურად თავიანთი მისია აქვთ პოეტებსაც, მისია, რომელიც ვითარებისდა კვალობაზე ხან მკვეთრად იჩენს ხოლმე თავს და ხანაც თვალს მიეფარება, ამჟამად სწორედ სიმკვეთრეს რომ მოითხოვს მათგან, დაბეჯითებას, წამდაუწუმ შეხსენებას მოვალეობისა უკიდურესად გამწვავებულ პოლიტიკურ სინამდვილეში, იმ ჭეშმარიტების შეგონებას, რომ პატრიოტზე დიდი კოსმოპოლიტი არ არსებობს და ვერც იარსებებს და მსოფლიო მოქალაქე ისაა და მხოლოდ ის, თავისი ქვეყნისათვის ვისაც გადაუდევს თავი.

რასაც ირწმუნება ვაჟა-ფშაველას პოლიტიკური ესეი „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი.

რასაც ირწმუნება მიხაკო წერეთლის მონოგრაფია „ერი და კაცობრიობა“.

და რასაც ირწმუნება ბუნებრივი მდინარება ჩვენი ცხოვრებისა, შემღვრეული ნაკადებიც უხვად რომ ერთვის და... ვაითუ ისე იძალონ ამ ნაკადებმა, ბუნებრიობა ხელოვნურობას დაერქვას, თვითონ ბუნებრიობა კი სადღაც გაირიყოს, გაირიყოს და... სულაც ხელში ჩაგეფშვნას“.

ბატონი როსტომიც უტრიალებს თავის მოხსენებაში დათო მაღრაძის სიტყვათთამაშსა თუ მხატვრულ ეკვილიბრისტიკა-აბრუნდებს და კრებულის სახელწოდებაში განტოტვილ განწყობილებებს, უსადაურობისა და უსათაურობის მონაცვლეობით რომ უნდა განგაცდევინოს მცირერიცხოვანი ხალხის შვილის ყოფა, მოქცეული მსოფლიო მღელვარებებში, და უსათუოდ გამთლიანდეს ერთი ღერძის გარშემო, როგორც იმ მთავარი ძარღვის თავისთავადი წახნაგები, პოეტური მისიის სულისკვეთებას რომ განსაზღვრავს.

ერთ-ერთ ამოსავლად კი ამ პოეტური სამყაროს შესაგრძნობად და შესაცნობად მოიხმო ის სტრიქონები, პოეტის მხატვრულ მრწამსს ხელშესახებად რომ წარმოაჩენს.

წვიმს და ვეხები
სავსე მკერდს მკერდით
და ვთლი სალამურს ლერწმის
ღეროდან,
... შენ დიდი ქვეყნის შვილივით წერდი,
რადგან ამ ვიწრო ქუჩის გჯეროდა.

დათო მაღრაძის პოეზიის მრავალმხრივობის შესახებ შეხვედრაზე სხვა გამომსვლელებმაც ისაუბრეს და მისი შემოქმედების მნიშვნელობაც განსაზღვრეს ქართულ ლიტერატურულ პროცესებში. მათ შორის იყვნენ: **მარინა ტურავა, თემურ ქორიძე, ეთერ თათარაიძე, პაატა ჩხეიძე, ამირან გომართელი** და უნგრელი მთარგმნელი **ჰაინალქა ბაბირაქი,** ვინც მისი პოეზიის ცალკეული ნიმუშებიც წაიკითხა უნგრულ ენაზე.

შეხვედრის ბოლოს დათო მაღრაძემ მადლობა გადაუხადა შეკრებილებსა და ორგანიზატორებს და აღნიშნა, რომ მისი წიგნების წარდგინება არაერთხელ გამართულა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც, მაგრამ პირველად განიხილეს ასე დეტალურად და პროფესიულად, ჭეშმარიტი კრიტიკულ-ესთეტიკური აზროვნების შესაფერისად.

რაც შეეხება მის მიერ წაკითხულ ლექსებს, უნდა ითქვას, რომ დათო მაღრაძე ჩინებული დეკლამატორიც არის და ამ ხელოვნების წყალობით კიდევ უფრო ახლოს მოაქვს მსმენელამდე ლექსის მრწამსიც, სახეობრიობაც და მუსიკალურობაც.

ზოთა გორგასლიძე,
„მედიანიუსი“

კარგი ამბები

შენდება მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენი

სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“ (სნგკ) აღმოსავლეთ-დასავლეთის მაღალი წნევის მაგისტრალური გაზსადენის „წითელი ხიდი-გარდაბნის“ მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო.

ახალი გაზსადენის სიგრძე 19 კმ-ია, ხოლო მილის დიამეტრი 700 მმ. გაზსადენის სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „კომფორტმშენ XXI“. დღეისთვის სამუშაოების 35%-ზე მეტი შესრულებულია. პროექტის ღირებულება შეადგენს 3 482 298 ლარს დღგ-ს გარეშე.

„წითელი ხიდი-გარდაბნის“ პროექტის განხორციელებით სნგკ მთლიანად დაასრულებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის „წითელი ხიდი-საგურამოს“ 90 კმ სიგრძისა და 700მმ დიამეტრის ახალი მონაკვეთების მშენებლობას. აღნიშნული მონაკვეთები ჩანაცვლებენ არსებულ კოროზირებულ და სხვაგვარად დაზიანებულ მაგისტრალურ გაზსადენებს, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ 1959 წელს შევიდა ექსპლოატაციაში. ყოველივე ზემოაღნიშნული უზრუნველყოფს აზერბაიჯან-საქართველოს საზღვრიდან აზერბაიჯანული გაზის შეუფერხებლად და გაზრდილი მოცულობებით მიწოდებას საქართველოს ყველა მომხმარებლისათვის, პირველ რიგში კი — თბილისისთვის და ასევე, გარდაბანში მდებარე თბოელექტროსადგურებისათვის.

გაუმჯობესებული წყალმომარაგება ბაღდათელებს

ბაღდათში, თოდაძის ქუჩაზე, წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, რეზერვუარის მილსადენების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

აღნიშნულ მონაკვეთზე ამორტიზებული ქსელის გამო, დიდი რაოდენობით წყალი იკარგებოდა, რის შედეგადაც ქალაქის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წყალი შეფერხებით მიეწოდებოდა. ასევე, ზიანდებოდა გზის სავალი ნაწილი.

არსებული პრობლემა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ მოგვარდება და ბაღდათის ათეულობით ოჯახი გაუმჯობესებული წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

სამუშაოები, რომლისთვისაც გაერთიანებულმა წყალმომარაგების კომპანიამ 200 000 ლარზე მეტი ფინანსური რესურსი გამოყო ნოემბრის ბოლოს, დასრულდება.

საშემოდგომო რგვები გლდანში

გამწვანების მორიგი აქცია გაიმართა გლდანის ხევსა და მუხიანის დასახლებაში. გლდანის ხევში, II-IIა კორპუსებისა და ლაგურაშვილის ქუჩის №3-ის მიმდებარედ არსებულ სკვერებში გლდანის რაიონის გამგეობის თანამშრომლებმა 70-მდე ძირი ჰორიზონტალური კვიპაროსი დარგეს. ნერგების სიმაღლე, საშუალოდ, სამი მეტრია.

გლდანის რაიონის გამგეობა საშემოდგომო რგვების პროცესში აქტიურადაა ჩართული. რაიონის მასშტაბით, სხვადასხვა სკვერში უკვე დაირგო 200-მდე ძირი ხის ნერგი. პროცესი გრძელდება და თვის ბოლომდე სკვერების გამწვანება კვლავ იგეგმება.

ახლად დარგული ხე-მცენარეების მონიტორინგსა და მოვლა-პატრონობას გამგეობის გამწვანების სპეციალისტები უზრუნველყოფენ. ხეების მოვლის პასუხისმგებლობას ადგილობრივი მოსახლეობაც იღებს.

პორტუგალიური ტექსტი დედნის ბწკარედის მიხედვით გადმოაენა გშრამ გოგიაშვილმა

29

ნათლის მხედარი, რომელმაც უსამართლობა განიცადა, მარტო დარჩენას ცდილობს, – რათა არცვინ თვალი არა ჰკიდოს, რარიგ იტანჯება.

ეს კარგიც არის და ცუდიც.

რამეთუ ერთია, როცა შენს დაკოდილ გულს თავადვე არჩენინებ თავის თავს. და სრულიად სხვაა, როცა მთელ დღეს ღრმა საგონებელში ჩაძირული ატარებ იმის შიშით, ემანდ უცხო ხალხის წინაშე საძაგუნე არ გამოვავლინოო.

ვინაიდან სუყოველ ჩვენგანში ანგელოზი და დემონი ცხოვრობენ, და როს მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით ხოლმე, დემონი უყოყმანოდ ემხრობა ჩვენს ლაპარაკს ჩვენივე თავთან ჩამოგდებულს, რამეთუ სულ იმას ესწრაფვის, რა უსუსურნი და უმწეონიც ვართ, სათვალმჩენოდ დაგვანახვოს. ანგელოზი კი ჩვენსავე საქციელზე გვაფიქრებს და იმას ხან ვისიმე ენა-პირი უნდა თავისი აზრის გამოსათქმელად.

ნათლის მხედარს მარტოობასა და სხვაზე დამოკიდებულებას შორის წონასწორობის დაცვის უნარი აქვს.

30

ნათლის მხედარს უსაყვარულოდ სიცოცხლე არ შეუძლია.

სითბოსა და ალერსის გაცემის მოთხოვნილება თვით იმის ბუნებაშია ჩანივთებული, მსგავსად ჭამისა და სმის მოთხოვნილებისა, მსგავსად სამართლიანი საგრობისგან მოგვრილი კმაყოფილებისა. უკეთუ მზე ჩადის, მხედარს კი ბედნიერება რამ არ განუცდია, მაშასადამე, რაღაც არასწორად მოხდა.

მაშინ ის წყვეტს ბრძოლას და მიდის მავანი მგზავრის საძებნელად, რათა მიმწუხრში თავხელმარტო არ აღმოჩნდეს.

ხოლო თუ გაუძნელდა მგზავრის პოვნა, თავის თავს ეკითხება: „ნუთუ ვინმესთან მოახლოებისა მეშინია? ნუთუ სითბოც და ალერსიც ვირგუნე, მაგრამ ვერ შევამჩნიე?“

ნათლის მხედარი მარტოობით სარგებლობს მაგრამ ნებას არა რთავს, რომ მარტოობამ თვითონ იმითი ისარგებლოს.

31

ნათლის მხედარმა იცის, რომ შეუძლებელია სულ მიშვებულმა და მოდუნებულმა იცხოვროს:

იგი იმ მშვილდოსანს ჩამოჰგავს, რომელმაც შორეულ მიზანში მისახვედრად თავისი მშვილდის ლამბი უნდა მოზიდოს. იგი მიწყივ სწავლობს ვარსკვლავისგან, რომლის გაელვებასაც მხოლოდ იმის მერე ვამჩნევთ, როცა ის ფეთქდება.

იგი ამჩნევს, რომ რამე სიძნელის დასაძლევად ცხენი მთელ თავის კუნთებს ძაბავს.

მაგრამ ის კარგად ანსხვავებს ერთმანეთისგან დაძაბულობასა და ფუჭ ფაციფუცს და არცროდის ერთს მეორეში არ ურევს.

32

ნათლის მხედარი მუდამ შეუდრეკლობასა და გულმოწყალეობას შორის წონასწორობის დამყარების ცდაშია.

ოცნების ასახდენად ნება უნდა იყოს მტკიცე და ძალუმი, ხოლო მიზნის მისაღწევად უნდა გვახსოვდეს, რომ გზა, რომელსაც იმისკენ მივყავართ, სინამდვილეში, მუდამ სულაც არა ჰგავს იმ გზას, ჩვენს წარმოდგენას რომ ესახებოდა.



ამიტომ ნათლის მხედარს ბრძანებაც შეუძლია და თანაგრძნობაც. არცროდის ღმერთი არ მიატოვებს შვილთა თვისთა, მაგრამ მიუწვდომელია განგება იმისი, და გზა, რომელიც მან განგვიკუთნა, გაკვერილია ჩვენივე საკუთარი ნაბიჯებით.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №212-214

მბრძანებლობის უნარი, როგორც რომ მორჩილებისა, ამხნევებს მხედარს. ძვალ-რბილში გამჯდარ ჩვეულებას არ ძალუძს მნიშვნელოვანი საქციელის განსაზღვრა.

33

ნათლის მხედარი ხანუამისად იმ მომჩქეფრე წყალსა ჰგავს, გზად შეხვედრილ დაბრკოლებას გარს რომ უვლის.

არცთუ იშვიათად ხდება, რომ წინააღმდეგობა გარდაუვალი დაღუპვის პირას მიგვიყვანს ხოლმე. მაშინ მხედარი შექმნილ ვითარება-გარემოებას ეგუება. დაუჩივლელად და უდრტვინველად მიუყვება კლდის კაპნის გზას, უძირო უფსკრულის გასწვრივ დაკლაკნილს.

და ძალა იმისი ენათესავება წყლის ძალას, რამეთუ ჯერხანად არცვის წყალი არ გაუპია არცრა ჩაქუჩით და არცრა დანით. ამქვეყნად ყოვლის უფრორე მძლავრ მახვილსაც კი არ ძალუძს წყლის ზედაპირზე ნაიარევის გაჩენა.

მდინარის წყალი ეთვისება გზის შესაძლებლობასა და თავისებურებას, მაგრამ ამასთანავე მიწყივ ახსოვს მთავარი მიზანი – ზღვა. სუსტი, მარჩხი ნაკადული თანდათან იკრებს ძალას სხვა მდინარეებთან შეხვედრით.

და ერთხელაც დგება წამი, როცა წყლის სიძლიერე უძლეველი ხდება.

34

ნათლის მხედრისთვის არ არსებობს განყენებული ცნებები.

ყველაფერი საგნობრივია, განსაზღვრული და ყოველივე პატივგებას შთააგონებს. ნათლის მხედარი თავის კარავში ფეხმორთხმული დამშვიდებული სიგრილეში არა ზის და ისე არ ადევნებს თვალყურს, რაც ქვეყანაზე ხდება. არა ის სოფელ-ქვეყნის არცრა გამოწვევას არ გაურბის, რამეთუ ყველა გამოწვევაში საკუთარი ფერისცვალების შესაძლებლობას ხედავს.

ზოგიერთი იმისი ამხანაგი მთელი ცხოვრება იმას ჩივის, არჩევანი არა მაქვს რაო, ან სხვათა გადაწყვეტილებების გამო მსჯელობს. ნათლის მხედარი თავის აზრს საქმეში გარდაქმნის.

ხანუამისად ხდება, რომ იგი არასწორად განსაზღვრავს ხოლმე თავის მიზანს, იმ დროს ის არც ჩივის, არც ბუზღუნებს, მშვიდად აგებს პასუხს თავისი შეცდომისთვის. ხან კიდევ გზას ასცდება ხოლმე და დიდხანს დადის არიარებზე, ვიდრე კვლავ იმ სავალს დაემწყებსებოდეს, რომელსაც თავდაპირველად დადგა.

მაგრამ არჩეული გზიდან ნათლის მხედარი არამც და არამც არ გადაუხვევს.

35

რაღა ნათლის მხედარი და რაღა კლდე.

თუ ვაკე ადგილზე დგას, და იმის ირგვლივ ყველაფერი ერთმანეთს შეხმატკბილებულია, ის ურყევია. ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი საცხოვრისი იმისი მფარველი კალთის ქვეშ ააგონ, რომელი კალთაც ყოველგვარი დამანგრეველი ქარიშხლისგან დაიცავს.



უკეთუ ბედი სადმე მთის შეფენებაზე ან ფერდობზე დააყენებს, და იმის გარშემო ყოველივე მოკლებული იქნება წონასწორობასა და პატივგებას, აი, მაშინ ის გამოაჩენს მთელ თავის სიძლიერეს და ეგრევე ეძგერება მშვიდობის დამარღვეველ მტერს.

ასეთ წუთებში ნათლის მხედარი დამაქცევარი და მომაკვდინებელია, და არცვის არ ძალუძს იმისი შეჩერება.

ნათლის მხედარი ერთდროულად ფიქრობს ომზეც, მშვიდობაზეც და შეუძლია მდგომარეობისდა შესაბამისად მოქმედება.

36

ნათლის მხედარი, რომელიც ნამეტნავად ენდობა თავისი გონების სიმახვილეს, ბოლოს და ბოლოს დასტურ ვერ შეაფასებს მოწინააღმდეგის ძალას.

არ უნდა ვიგულმავიწყოთ: ხანისად სიძლიერე ბევრად უფრორე მოქმედია თვით ყველაზე მეტად დახვეწილ ვირეშმაკობაზეც კი.

საათის მეოთხედი გრძელდება შერკინება ხართან: ძალიან მალე ხარი ხვდება, როგორ ატყუებენ, და მომდევნო იმისი ნაბიჯი უკვე ტორერობზე თავდასხმაა. და როს ეს ხდება, არცრა ბრჭყვიალს, არცრა გონებას, არცრა დამაჯერებელ საბუთს რასმე, არც კიდევ იმას, ხიბლს რომ ვეძახით, არ შეუძლია უბედურების თავიდან აცილება.

და ამიტომ ნათლის მხედარი ჯეროვანს უზღავს თავის მოწინააღმდეგე უხეშ ძალას. ხოლო როს ამ ძალის გაშმაგება მძვინვარებას იძენს, ნათლის მხედარი ბრძოლის ველიდან გადის და ელოდება, როდის განელდება თავისით ეს ცეცხლოვანი აღტყინება.

37

ნათლის მხედარს შეუძლია თავისზე ძლიერი მოწინააღმდეგის შეცნობა.

კარგად ესმის, რომ თუ იმასთან პირისპირ შეხვედრა გადაწყვიტა, ეგრევე ნადგურიცემა. ხოლო თუ იმის ეშმაკობას წამოეგო, ხაფანგში ამოჰყოფს თავს.

და ამიტომ ძნელი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად იგი სხვა ხერხებს იყენებს, სახელდებულს „დიპლომატიად“. როს მოწინააღმდეგე უგუნური ბალღივით იქცევა, ისიც თავს იბალღებს, როს მოწინააღმდეგე ბრძოლაში იწვევს, ნათლის მხედარი თავს ისე აჩვენებს, არ მესმის, რა გინდა ჩემგანო.

„ილაჩრა“, – აგონებენ მეგობრები.

მაგრამ ნათლის მხედარი იმათ აზრს აინუნშიც არ აგდებს, რამეთუ იცის: ჩიტი ჩიორას შემართება და სიშმაგე კაცის ბრჭყალებისგან ვერ იხსნის იმას. ასეთ ვითარებაში ნათლის მხედარი მოთმინებას იკრებს – მტერი კი სხვა საშოვრის საძებნელად წასვლას ამჯობინებს იმასთან შებმის ლოდინს.

38



ნათლის მხედარი გულგრილი ვერ იქნება უსამართლობის მიმართ.

მან იცის: ყოველივე ამქვეყნად ურთიერთდაკავშირებულია და საერთოა, და ცალკეული ადამიანის რაგინდარა მოქმედება გავლენას ახდენს ყველა ადამიანზე, რაერთიც უნდა იყვნენ ისინი დედამიწის ზურგზე. ამიტომაც არის, რომ სხვისი ტანჯვა-წამების ხილვისას იგი აუცილებლად იშიშვლებს ხოლმე მახვილს, რათა ყველაფერს თავისი სახელი მიუჩინოს ჯეროვანი წესითა და რიგით.

მაგრამ ჩაგვრას რომ ებრძვის, არცროდის მჩაგვრელს არა გმობს, სასჯელს არა სდებს, რამეთუ ახსოვს: სუყველამ თავად უნდა აგოს პასუხი უფლის წინაშე თავისი საქმეებისთვის. შეასრულებს რა თავის დავალებას, ნათლის მხედარი თავს იკავებს ყოველგვარი მოსაზრების გამოთქმისგან.

ის ამქვეყნად იმიტომ მოვიდა, რათა უხვიაშნოს თავის ძმებს და არა იმიტომ, რომ მსჯავრი დასდოს, გაკიცხოს მოყვასი.

(გაგრძელება იძნება)

ქართველებს არაფერს გვეკითხებიან, მხოლოდ გვლანძღავენ!

სამიოდე დღის წინათ სოხუმში მრგვალი მაგიდა გაიმართა, რომლის მონაწილეები „ქვეყნის უსაფრთხოებაზე“ და „აფხაზეთის სუვერენიტეტის საზღვრებზე“ მსჯელობდნენ, კერძოდ, განიხილავდნენ, რა შეიძლება, სხვას „უწილადო“, რა – არა.

„სუვერენიტეტის საზღვრები“ შეხვედრების ციკლადაა ჩაფიქრებული, რომლებზეც საკითხის სხვადასხვა ასპექტები იქნება განხილული. პირველი შეხვედრის თემას ენერგეტიკული უსაფრთხოება წარმოადგენდა. სამომავლოდ კი დაგეგმილია საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შესახებ ხელშეკრულების, გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შესახებ შეთანხმების და სხვა დოკუმენტების განხილვა, რათა, როგორც ორგანიზატორები განმარტავენ, „მოინიშნოს ის წითელი ხაზები, რომელიც სუვერენიტეტის საზღვრებს ავლებს და რომელიც ხელისუფლებამ არ უნდა გადაკვეთოს“.

„სუვერენიტეტის“ საზღვრებზე და პრობლემებზე, რომელიც ამ კუთხით იქმნება, დე ფაქტო პრეზიდენტთან არსებული სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ოლეგ დამენია, იურისტი თამაზ ქეცბა და „სახელმწიფო“ კომპანია „Черноморэнерго“-ს ხელმძღვანელი ასლან ბასარია მსჯელობდნენ. ორგანიზატორებმა შესთავაზეს მონაწილეებს, მოეწერა აფხაზეთის „სუვერენიტეტის“ ხარისხი, შეეფასებინათ, რა აქვს სადღეისოდ აფხაზეთს „სახელმიფო დამოუკიდებლობის“. ნაწილში დე იურედ და დე ფაქტოდ და ზოგადად, რამდენად შესაძლებელია არსებულ ვითარებაში აფხაზეთის „სუვერენიტეტი“.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ შეირჩა ციკლის პირველი შეხვედრის თემად ენერგოუსაფრთხოება, როგორც ორგანიზატორები განმარტავენ, აფხაზეთის ენერგეტიკა პერიოდულად ექცევა რუსეთის ყურადღების ცენტრში, დე ფაქტო პრეზიდენტ ბაღაფშის დროს იყო რუსულ „РАО ЕЭС“-თან მოლაპარაკების მცდელობები, 2009 წელს მოლაპარაკებები იმართებოდა ენგურჰესის „РАО ЕЭС“-ის მართვაში გადაცემის თაობაზე, ხოლო სულ ცოტა ხნის წინათ რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის ელექტრონული მიმოწერის განსაჯაროების წყალობით ამოტივტივდა დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ 2013 წელს ეს თემა კვლავ აქტუალური იყო და საუბარი მიდიოდა აფხაზეთის ენერგეტიკული დარგის 55%-ის „РАО ЕЭС “-ისთვის გადაცემაზე.

თუმცა როგორც შეხვედრაზე „Черноморэнерго“-ს ხელმძღვანელმა ასლან ბასარიამ განაცხადა, ბოლო დოკუმენტი მას არასოდეს უნახავს და მის შესახებ მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ „დოკუმენტში დასახელებული ციფრები სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან ნაკლებ სავარაუდოა, იმ მომენტისთვის აფხაზური მხარისათვის ვინმეს 45% მიეცა“.

რაც შეეხება იმას, თუ რა რისკებს შეიძლება, შეიცავდეს ენერგეტიკის განსახელმწიფოებრიობა, ბასარია დაეთანხმა იმ აზრს, რომ ეს ენერგეტიკულ სისტემაზე კონტროლის დაკარგვის რისკია, მის გარეშე კი „სახელმწიფოს“ არსებობა შეუძლებელია. გარდა ამისა, მისივე განმარტებით, დარგის ნებისმიერი კომერციალიზაცია ტარიფების მნიშვნელოვან ზრდას გამოიწვევს, რაც მყისიერად აისახება აფხაზეთის რიგით „მოქალაქეებზე“:

„მაშ რატომ უნდა გადავცეთ მოგება სხვას, თუ შეგვიძლია, ის თავად მოვიხმაროთ?! მით უფრო, რომ ენერგეტიკას მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია გააჩნია – მოსახლეობის მხარდაჭერა და ეს მუდმივად უნდა გვახსოვდეს“ – დასძინა ბასარიამ.

შეხვედრის კიდევ ერთმა მონაწილემ – „2025 წლამდე აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის“ ავტორმა, ფილოსოფოსმა **ოლეგ დამენიამ** აფხაზეთის უსაფრთხოებისთვის, მისი შეფასებით, ყველაზე სუსტი რგოლი მონიშნა და განაცხადა:

„ჩვენი სუვერენიტეტის განსასაზღვრად და გასაგებად უნდა გავერკვეთ, რა შეგვიძლია, განვიმტკიცოთ, რა – ვუწილადოთ სხვას და უპირველესად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი და იმ ქვეყნის ეროვნული ინტერესები, რომელთანაც შევდივართ ურთიერთობაში. თუ ზედმიწევნით ზუსტად არ გვეცოდინება, ერთი მხრივ, აფხაზეთის და, მეორე მხრივ, რუსეთის ეროვნული ინტერესები, ადამიანებისა და ქვეყნების კოორდინაცია შეუძლებელი იქნება. სადღეისოდ კი აფხაზეთის ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი საკითხები ხარკად ეძლევა პოლიტიკოსებს, რომელთაც მათი არსი არ ესმით და საკუთარი სპეკულაციური მიზნებით იყენებენ. იგივე ეხება ჩინოსნებსაც. უმნიშვნელოვანესია, გავითვალისწინოთ აფხაზეთისა და რუსეთის ასიმეტრიულობა, თანაც არა მარტო გეოგრაფიული, არამედ მენტალური თვალსაზრისით. ჩვენი ჩინოსნები მიეჩვივნენ სადღაც სხვაგან მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას, რუსი ჩინოსნისთვის კი გაცილებით ადვილია, მიიღოს გადაწყვეტილება და სხვას გადასცეს აღსასრულებლად. იგი ასეა მიჩვეული. და როდესაც ვამბობთ, რომ ამის ან იმის დათმობა არ შეიძლება, მას ეს არ ესმის. ჩვენში მძლავრად არის გამომუშავებული თვითგადარჩენის ინსტინქტი. ჩვენ ბევრი რამ გვაშინებს ამ მსოფლიოში. რუს ჩინოსანს კი არ ესმის, რატომ გვსურს სიმდიდრეში ცხოვრება, თუ ამ დროს არაფერს ვყიდით, ეს ჩვენი შიდა წინააღმდეგობაა“.

იურისტი **თამაზ ქეცბა** საკითხს სამართლებრივი კუთხით მიუდგა და აღნიშნა, რომ „აფხაზეთის მოსახლეობას გარკვეულწილად აშფოთებს სუვერენიტეტის დაკარგვის შესაძლებლობა ჩვენი საკითხების ჩვენს მიერვე გადაჭრის უნარის თვალსაზრისით“.

„რაკი პრეტენზია გვაქვს საერთაშორისო სამართლის სუბიექტობაზე, ეს ცნება კონკრეტული შინაარსით უნდა ავავსოთ. და რაში მდგომარეობს სუბიექტობა? უნარში, დავდოთ ხელშეკრულებები – სავაჭრო, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, თავდაცვის სფეროში და სხვა. და ამ დოკუმენტების ყველა მხარე საერთო ყულაბაში საკუთარი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის რაღაც ნაწილს დებს. ვფიქრობ, ეს ეროვნულ დონეზე უნდა გავაცნობიეროთ, შევევშვათ რაღაც უკიდურესობებში გადავარდნას და ყველაფრის შავად და თეთრად დაყოფას. აფხაზეთს, როგორც გარკვეული ურთიერთობების მონაწილეს, ასევე უნდა შეჰქონდეს საკუთარი წვლილი საერთო საქმეში, რაღა თქმა უნდა, საკუთარი ეროვნული ინტერესების გაცნობიერების პირობებში“ – აღნიშნა მან და იქვე დასძინა, რომ „აფხაზური მხარე უფრო მკაფიოდ უნდა აყენებდეს სტრატეგიულ პარტნიორს საქმის კურსში საკუთარი შეშფოთების შესახებ“.

შეხვედრის მონაწილეთა „სანუგეშებლად“ ქეცბამ აუწყა შეკრებილთ, რომ „აფხაზეთის მომავალი საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებაში შევა საერთაშორისო შეთანხმებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის განხილვა ამ დოკუმენტების ძალაში შესვლის მომენტამდე“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ როდის შეიქმნება აფხაზური „საკონსტიტუციო სასამართლო“, ჯერ-ჯერობით არავინ იცის.

ამასთან, იურისტმა საზოგადოებრივი და საექსპერტო შეფასების მნიშვნელობა ახსენა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ **„ამჟამად მოქმედ ხელისუფლებას მისი საჭიროება არ უდგას, ხოლო როდესაც მასზე მოთხოვნა გაჩნდება, გაჩნდება მიწოდებაც, რადგან აფხაზეთში საექსპერტო საზოგადოება ნამდვილად არსებობს, უბრალოდ მასზე ამჟამად მოთხოვნა არ არის“.**

ცნობილ აფხაზ ისტორიკოსს, მეოთხე მოწვევის აფხაზური დე ფაქტო პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს **გურამ გუმბას** ზემოაღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა საკუთარი კრიტიკული მოსაზრებები „Exo Кавказа“-ს სოხუმელ კორესპონდენტთან საუბრისას გამოხატა. იგი ჯერ კიდევ 2005 წლის დასაწყისში ამბობდა, რომ „საქართველოს აგრესიულმა პოლიტიკამ იმდენად დამღუპველი გავლენა მოახდინა აფხაზეთზე, რომ აფხაზური პოლიტელიტის ცნობიერებაში ეროვნული მოძრაობის ხასიათის მისი ფორმით ჩანაცვლება მოხდა, ანუ ტაქტიკური მიზანი – საქართველოს ძალაუფლებისგან გათავისუფლება – სტრატეგიულ მიზნად იქცა, ხოლო თავად სტრატეგიული მიზანი – აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რომელიც ბრძოლის მთავარ არსსა და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა, მიიჩქმალა“.

გუმბას აზრით, შემდგომ წლებში დღემდე განვითარებულმა მოვლენებმა მხოლოდ დაადასტურა მისი იმჟამინდელი მოსაზრებების სისწორე: **„ნუთუ ის, რომ აფხაზური პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებმა ერთმანეთში ძალაუფლებისთვის ქიშპობის პროცესში „მოსკოვური კავშირების“ სულ უფრო აქტიურად გამოყენება დაიწყეს, ჩვენს სახელმწიფოებრიობას საფრთხეს არ უქმნის?!“.**

ამასთან, გუმბას ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე თავად საკითხის ფორმულირება არ მოეწონა – მისი აზრით, სუვერენიტეტი ან არსებობს, ან არა:

„თავად ფაქტი სუვერენიტეტის ჩარჩოების საკითხის ამ რაკურსში განხილვისა უკვე საზიანოა ჩვენთვის. თავად საკითხის დაყენებაა არასწორი. ის, რომ რუსეთი ჩვენი ერთადერთი მოკავშირეა და უნდა იყოს ინტერესების ურთიერთგათვალისწინება, სწორია. მაგრამ სად არის ჩვენი ინტერესები, ვინ გააჟღერა ისინი? რუსეთთან 100-მდე შეთანხმებაა გაფორმებული, თუნდაც ერთი შესთავაზა აფხაზეთმა? გააჟღერა, რა სურს?! ასეთ მიზანსაც კი არ ისახავენ – არც ჩვენი წინა ხელისუფლება, არც ამჟამინდელი!“.

რაც შეეხება აშშ-ში დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებას, აშშ-რუსეთის სამომავლო ურთიერთობებსა და აფხაზეთზე ამის შესაძლო ზეგავლენას, რაზეც ბოლო დღეებში სოხუმში ბევრს საუბრობდნენ, გუმბა არაფერს გამორიცხავს. კითხვაზე, **„თუ ტრამპი რუსეთთან დაახლოებას დაიწყებს, ვინაიდან აშშ საქართველოს პარტნიორად რჩება, ხომ არ შეიქმნება სიტუაცია, როცა მოსკოვი და ვაშინგტონი შეთანხმდებიან რაღაც დარეგულირებაზე ჩვენს რეგიონში აფხაზეთის ინტერესების საზიანოდ?“**, გუმბამ განაცხადა:

„პოლიტიკაში ყველაფერი შესაძლებელია, თუმცა ჩვენ იმისკენ უნდა ვისწრაფვოდეთ, რომ აღარავის მოუვიდეს თავში, არანაირ ცენტრში აღარ დაებადოთ აზრი, რომ მიგვითითონ, აქ წადით, ან იქ წადითო. რომ ყველას ესმოდეს: მსგავსი რამ არ გამოვა“.

ekhokavkaza.

ალიევს ინტერნეტით ველარ შეურაცხყოფენ

აზერბაიჯანის გენერალური პროკურორი ქვეყნის პარლამენტს მიმართავს ინიციატივით, ინტერნეტში პრეზიდენტის შურაცხყოფისთვის სიხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდეს. აზერბაიჯანის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასჯადია პრეზიდენტის მისამართით მედიასა და საჯარო გამოსვლებში ცილისწამება და მისი ღირსების შელახვა. ახალი ინიციტივის თანახმად კი პრეზიდენტის შეურაცხყოფისთვის ინტერნეტ-მომხმარებელს 500-დან 1000 მანათამდე ჯარიმა, საზოგადოებრივი სამუშაოები ან ორ წლამდე პატიმრობა ემუქრება.

შენგენის ზონაში შესასვლელად 5 ევროს გადახდა იქნება საჭირო

ევროკავშირის კომისია ახალ ინიციატივას განიხილავს, რომლის თანახმადაც ევროკავშირის მოქალაქეობის არმქონე პირებს შენგენის ზონაში მგზავრობისას 5 ევროს ოდენობის გადასახადი დაუწესდება. გამოცემა „ევროობსერვერის“ ინფორმაციით, არამოქალაქე პირების რაოდენობა 30 მილიონ ადამიანს აღემატება, რომლებიც ევროკავშირის ტერიტორიაზე 60 ქვეყნიდან შედიან და რომლებთანაც ევროკავშირს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აქვს დაწესებული. მათ შორისაა შეერთებული შტატები, კანადა, ახალი ზელანდია და ავსტრალია. ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროპარლამენტის მიერ ინიციატივის დამტკიცების შემთხვევაში, ახალი რეგულაცია 2020 წლიდან ამოქმედდება.

გაერო ყირიმელი თათრების მეჯლისს მხარს უჭერს

გაეროს სოციალურ და ჰუმანიტარულ საკითხთა კომიტეტმა ყირიმის შესახებ ახალი რეზოლუცია მიიღო. დოკუმენტში რუსეთის მიერ ანექსირებულ ნახევარკუნძულზე ყირიმელი თათრების უფლებების დარღვევაზეა საუბარი. რეზოლუციის ავტორები მოუწოდებენ რუსეთს, ყირიმში საერთაშორისო დამკვირვებლებიც დაუშვან და ყირიმელი თათრების მეჯლისს ექსტრემისტული ორგანიზაციის სტატუსი მოუხსნან. რეზოლუციის მიღებას მხარი 73-მა ქვეყანამ დაუჭირა, 23-მა კი ხმა დოკუმენტის წინააღმდეგ მისცა.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ზაზა ჯოხაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ზაზა ჯოხაძე (პ/ნ 37001000174), სამტრედია, ფარნავაზის ქ. №261.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
სამტრედია, ფარნავაზის ქ. №269 (საკადასტრო კოდი: 34.08.61.036).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11156.73 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 17 ნოემბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 5 დეკემბერი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP37375316;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 373753
6. **მოვალე:** ზაზა ჯოხაძე (პ/ნ 37001000174), სამტრედია, ფარნავაზის ქ. №261.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP37375316; ლოტის ნომერი: 373753).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 2 დეკემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს დალი ჩემინავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დალი ჩემინავა (პ/ნ 42001019432), ფოთი, ნინო ჟვანიას ქ. №27.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ფოთი, ნინო ჟვანიას ქ. №27 (საკადასტრო კოდი: 04.02.09.515).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 83343.04 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 17 ნოემბერი, 12:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 5 დეკემბერი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP37377316;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 373773
6. **მოვალე:** გოჩა ჩემინავა (პ/ნ 42001002323), ფოთი, ნინო ჟვანიას ქ. №27.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP37377316; ლოტის ნომერი: 373773).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 2 დეკემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გოდერძი კაჭარავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გოდერძი კაჭარავა (პ/ნ 01011023543), თბილისი, ფონიჭალა 3, კორპ. 16, ბინა №35.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
თბილისი, ფონიჭალა 3, კორპ. 16, ბინა №25 (საკადასტრო კოდი: 01.18.13.023.005.01.025).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 23384.42 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2016 წლის 17 ნოემბერი, 12:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2016 წლის 5 დეკემბერი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP37378316;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 373783
6. **მოვალე:** გოდერძი კაჭარავა (პ/ნ 01011023543), თბილისი, ფონიჭალა 3, კორპ. 16, ბინა №35;
დავით კაჭარავა (პ/ნ 01011076330), თბილისი, ფონიჭალა 3, კორპ. 16, ბინა №25.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP37378316; ლოტის ნომერი: 373783).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 2 დეკემბრის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

განცხადება

2017 წლის 10 იანვარს, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში გაიმართება შუახევი-სხალთას შემაერთებელი 35კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროექტის ბუნებრივი და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

- 2017 წლის 10 იანვარი, 11 საათი, ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: დაბა ხულო, ტბელ აბუსერიძის ქ. №1;
- 2017 წლის 10 იანვარი, 16 საათი, შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, მისამართი: თამარ მეფის ქუჩა №30

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – (მისამართი: დაბა ხულო, ტბელ აბუსერიძის ქ. №1);
- შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში – (მისამართი: თამარ მეფის ქუჩა №30)
- შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ოფისში – ქ. ბათუმი, ირაკლი აბაშიძის ქ. №6;
- შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ოფისში – ქ. თბილისი, ბროსეს ქ. №2;
- შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ხულოს საინფორმაციო ცენტრში – ხულოს მუნიციპალიტეტი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა (გამგეობის შენობის გვერდით);
- შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ვებ გვერდზე www.agl.com.ge

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ნინო გაგუა. ტელ: 555 95 95 10; E-mail: nino.gagua@agl.com.ge ; info@agl.com.ge

საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ადმინისტრაცია

დედოფლისწყაროში შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ახალი სასაზღვრო სექტორის შენობა გაიხსნა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის №4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) №2 სექტორ „იორის“ ახალი შენობა გაიხსნა. ღონისძიებას შს მინისტრის მოადგილე, სასაზღვრო პოლიციის უფროსი ზურაბ გამეზარდაშვილი, შს მინისტრის მოადგილე მერაბ მალანია, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში იან კელი, აშშ-ის საელჩოს, აშშ-ის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების (EXBS) პროგრამის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

ახალი სასაზღვრო სექტორის შენობა თანამედროვე სტანდარტებს სრულად შეესაბამება. იგი საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის 40-კილომეტრიან მონაკვეთს მოემსახურება და მესაზღვრეებს თავიანთი პროფესიული მოვალეობის უკეთესად შესრულებაში შეუწყობს ხელს. შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია, ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან, ასევე, დონორ ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად, ახლო მომავალში კიდევ რამდენიმე ახალ სასაზღვრო სექტორს ააშენებს, რაც საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფს.

◎ წყალბურთი

მაინც გმადლობთ, ბიჭებო!

საქართველო-რუსეთი 13:14
(3:4, 2:2, 5:5, 3:3)

საქართველო: *შუბლაძე, ქავთარაძე, ცრეპულია (4), იმნაიშვილი, ბითაძე (1), ელაჩა (2), ხვედელიანი, ბაღათურია (2), რურუა (3), გეგელაშვილი (1), რუსიშვილი, შუშიაშვილი, რაზმაძე, მთავარი მწვრთნელი პოპოვიჩი, მწვრთნელი ისელიძე.*

რუსეთი: *ფედოტოვი, ბალაკირევი (1), ოდინცოვი, შეპელევი, ბუგაიჩუკი, კრასნოვი (2), მერკულოვი (6), ნაგაევი (2), ბიჩკოვი (1), ხოლოდი, დერევიანკინი (2), მაგომაევი, კორნეევი, მთავარი მწვრთნელი შაგაევი, მწვრთნელი აპანასენკო.*

საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები მსოფლიოს ლიგის ევროპული ეტაპის 2016-2017 წლების გათამაშებაში ჩაება. C ჯგუფში ჩვენებთან ერთად იტალიელები და რუსები თამაშობენ, სულ კი ტურნირში კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნის 11 ნაკრები მონაწილეობს. სასტარტო შეხვედრაში ქართველმა წყალბურთელებმა „ოლიმპიკის“ აუზში რუსებს უმასპინძლეს.

ანგარიში მეორე წუთზე სტუმართა გუნდის წევრმა კრასნოვმა გახსნა, ნახევარ წუთში კი ბაღათურიამ წონასწორობა აღადგინა. მესამე წუთზე ცრეპულიამ საქართველოს ნაკრები დააწინაურა. ჩვენებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლეს და პირველი პერიოდი 3:4 წააგეს. საგულისხმოა, რომ დანარჩენი სამი რვაწუთიანი მონაკვეთი ფრედ დასრულდა, თუმცა, იყო მომენტები, როცა ქართველები წინაც გავიდნენ, მაგრამ ისინი ბევრი იერიშის ბოლოს სცოდავდნენ, რითაც სტუმრებმა ისარგებლეს და მატჩი სასურველ დასასრულამდე მიიყვანეს. მართალია, საქართველოს ნაკრებში ბევრი ახალგაზრდა წყალბურთელი თამაშობს, რომლებსაც მსგავს ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილება აკლიათ, მაგრამ გოლის გატანის ამდენი შანსის განიავება მაინც მიუტევებელია. სტუმრებმა 17-დან რიცხობრივი უპირატესობა 13-ჯერ გამოიყენეს და ერთხელ პენალტსაც გამოჰკრეს ხელი. მასპინძლებმაც 17-დან 13-ჯერ აიღეს ფედოტოვის კარი მსგავსი შემთხვევებისას, თუმცა, მათ სხვა შეტევებს შედეგიანი დაგვირგვინება აკლდა, განსაკუთრებით მე-4 პერიოდის ბოლო წუთზე, როცა რუსები ერთი ბურთით დაწინაურდნენ. აკი შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა ერკინ შაგაევმა ჩვენთან საუბრისას გულახდილად აღიარა - ამ მატჩში იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ ქართველებმა ჩვენზე მეტი შეცდომა დაუშვესო.

C ჯგუფის სტარტზე იტალიასა და თურქეთსაც უნდა ეთამაშათ, მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე ერთი თვით ადრე ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვეს. მე-2 ტური 6 დეკემბერს გაიმართება. ჯგუფის ფავორიტი - ოლიმპიადების, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი იტალია რუსეთს უმასპინძლებს, 2017 წლის 10 იანვარს კი საქართველო სტუმრად იტალიას დაუპირისპირდება.

ლაშა დიდია

◎ ფეხბურთი

პერტია „ლიეპაიაში“ დაინიშნა

41 წლის ქართველი სპეციალისტი თამაზ პერტია ლატვიაში აგრძელებს საქმიანობას, მაგრამ კლუბი შეიცვალა — „ლიეპაიას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ეს გუნდი ლატვიის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა.

როგორც იცით, პერტია სამი წლის განმავლობაში რიგის „სკონტოს“ თავკაცობდა და წარმატებითაც. კლუბს, მართალია, სერიოზული ფინანსური პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ჩემპიონობისთვის მაინც იბრძოდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

ჯერჯეროობით - ყაიმები

ნიუ იორკში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში, სადაც ერთმანეთს მოქმედი ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) და სერგეი კარიაკინი (რუსეთი) ხვდებიან, მეოთხე პარტია გაიმართა.

ამჯერად თეთრები კარიაკინს ჰყავდა. გათამაშდა ესპანური პარტია. როგორც წინა პარტიებში, კარლსენი ისევ უტევდა, ხოლო კარიაკინი თავს იცავდა. მსოფლიო ჩემპიონს რამდენჯერმე მიეცა მოგების შანსი, მაგრამ პრეტენდენტის მიერ აგებულ ციხე-სიმაგრეს გასაღები ვერ მოარგო. ამრიგად, კარლსენი — კარიაკინის დაპირისპირებაში მეოთხე ყაიმი დაფიქსირდა და ანგარიშია 2:2. მეხუთე პარტიაში, რომელიც დღეს ჩატარდება, თეთრებით კარლსენი ითამაშებს.

განვლილი პარტიებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ კარიაკინი დაცვაზე აკეთებს აქცენტს და ცდილობს მატჩი ტაი-ბრეიკამდე მიიყვანოს, სადაც შემთხვევითობის და, აქედან გამომდინარე, მოგების შანსიც მეტია.

ბადრი იაშვილი

◎ რაგბი

მილტონ ჰეიგი:

„ეს თამაში მალე უნდა დავივიწყოთ, თუმცა, მანამდე ანალიზია საჭირო“

საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა იაპონიასთან მატჩის (22:28) შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ გუნდმა ეს თამაში მალე უნდა დაივიწყოს, თუმცა, მანამდე შეცდომების გაანალიზებაა საჭირო და ბიჭებთან ერთად ყველაფერს დეტალურად გაივლის. მან ასევე განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა „ბორჯღალოსანთა“ გულშემატკივრებს სტადიონზე შესანიშნავი ატმოსფეროს შექმნისათვის.

„შემადგენლობასთან არანაირი პრობლემა არ მაქვს, რასაც ხაზგასმით ვამბობ. მომწონს ჩემი გუნდის მოთამაშეები. შეცდომებს იმ დროს უშვებს გუნდი, როდესაც მოწინააღმდეგე წნეხში აქცევს. საერთოდ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ბევრი შეცდომა დავუშვით, მაგრამ ამას ანალიზის დროს აუცილებლად განვიხილავთ.

რა თქმა უნდა, რთულია, როცა რამდენჯერმე ლელოსთან ახლოს ხარ და რამდენიმე წამში შენ მოგიწევს საკუთარ ძელებთან დადგომა. ეს თამაში მალე უნდა დავივიწყოთ, თუმცა, აუცილებლად უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ თამაში, თუ რას მოჰყვა აღნიშნული მარცხი.

პირველ ოც წუთს რაც შეეხება, მაგ დროს ლელოც მივიღეთ, თუმცა, ასევე ვუტევდით. მიმაჩნია, რომ ბოლო წუთზე შეტევის დროს შეგვეძლო ქულების აღება — ყოველი თამაშიდან გამოცდილებას ვიღებთ. მნიშვნელობა არ აქვს, მოიგებ თუ წააგებ, გამოცდილება მოდის და მთავარია ახლაც ასე იყოს. კიდევ გავიმეორებ, რომ ვიდეოანალიზი უნდა ჩავატაროთ — ბურთი უფრო მეტად უნდა გვეჭიროს. დაცვაშიც ხარვეზებია, მაგრამ არა მგონია, რომ ბევრი რამ იყოს შესაცვლელი სამოასთან მატჩის წინ. ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩვენ ვიზრდებოდით და ამ თამაშსაც პროგრესისთვის გამოვიყენებთ. მინდა დავძინო, რომ სტადიონზე საოცარი ატმოსფერო იყო და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივარს. მათი თანადგომა სამოასთან მატჩის დროსაც ძალიან დაგვჭირდება“, — განაცხადა ჰეიგმა.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ილიას ზუროსმა „ბუდუჩნოსტი“ შეითავსა

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი საკლუბო დონეზეც იმუშავებს და მიმდინარე სეზონის ბოლომდე მონტენეგროს გუნდ „ბუდუჩნოსტს“ ავარჯიშებს. ინფორმაცია ბერძენი სპეციალისტის ახალი კლუბის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა დაადასტურა.

2006 წლიდან მოყოლებული, პოდგორიცას „ბუდუჩნოსტი“ მონტენეგროს ჩემპიონი 10-ჯერ გახდა და კონკურენციას ვერავინ უწევს. გუნდი ასევე მონაწილეობს ევროთასზე და ადრიატიკის ლიგაში. კლუბის ხელმძღვანელობამ წინა თავკაცი ვლადო შჩეპანოვიჩი ევროთასზე ცუდი თამაშის გამო დაითხოვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ლიზ სოლარით პოლიცია დაინტერესდა

არგენტინელი ფეხბურთელის სანტიაგო სოლარის ეპატაჟურ დაზე ლიზ სოლარიზე წერა და ყბედობა არც არგენტინულ და არც ესპანურ ბულვარულ მედიას არ ეზარება და ჩვენ რატომ უნდა დავიზაროთ? მით უმეტეს, რომ ეს გოგონა დასაწერსა და სათქმელს ყოველთვის გვაძლევს ხოლმე.

აი, მაგალითად, ამ ორი დღის წინათ ლიზ სოლარი ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სკანდალში გაეხვია. საქმე ისაა, რომ ერთ-ერთ დიდ წვეულებაზე, სადაც ლიზიც იყო მიწვეული და დიდი გნიასი სუფევდა, ნარკოტიკის ზედოზირებით ორი ადამიანი გახდა ცუდად და ამის გამო სანტიაგო სოლარის დაიკოს პოლიციაში მისვლა და ახსნა-განმარტებების მიცემა მოუწია.

მიუხედავად იმისა, რომ ლიზი დაკითხვის შემდეგ სახლში გაუშვეს, ამ ქალით პოლიციის დაინტერესება მაინც მნიშვნელოვანი ამბავია, რადგან ადრე ლიზ სოლარის თავადაც უთქვამს, რომ ცხოვრებისგან სიამოვნების მიღებას იგი ყველა ხერხითა და საშუალებით ცდილობს და პოლიციასაც მეტი რა უნდა?!...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სახელმწიფო ბიუჯეტი

რასაცა დასთეს...

მართალია, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ჯერჯერობით ბოლომდე, ასე ვთქვათ, „დაღვინებული“ არ არის და მისი თავდაპირველი ვარიანტი, პარლამენტის კომიტეტებსა და შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში განხილვის შემდეგ, ისევ ავტორს, ფინანსთა სამინისტროს დაუბრუნდა, მაგრამ მისი მთავარი მონახაზი საკმაოდაა გამოკვეთილი. მომავალი წლის ბიუჯეტს, ცხადია, ახლადარჩეული პარლამენტი დაამტკიცებს, თუმცა კი დეპუტატთა ახალი კორპუსის შემადგენლობით თუ ვიმსჯელებთ, დარწმუნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მასში დასახული ტენდენციების არსებითი რევიზია არ მოხდება.

თავის დროზე კოალიცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ხელისუფლების სათავეში მოსვლის მომენტიდან დაწყებული, მთავრობის მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა, მისი უსწრაფესი ტემპით განვითარებისთვის ძალების მაქსიმალური ხელშეწყობა დასახელდა. განვლილი ოთხი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მართლაც ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა, სოლიდურად დაფინანსდა ქვეყნისთვის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი დარგი (მაგალითად, მევენახეობა და მეციტრუსეობა), სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი (ვთქვათ, „დანერგე მომავალი“), დიდი მოცულობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის (კერძოდ, სარწყავი არხების) სარეაბილიტაციო სამუშაოები, გარკვეული თანხები მიიმართა ასევე სოციალურ სფეროში (იგივე საზაფხულო სამუშაოების ვაუჩერები).

ბუნებრივია, რომ სახსრების დახარჯვით მიღებული შედეგის თვალის ერთი გადავლებით შეფასება შეუძლებელია, ამას დინჯი, სერიოზული ანალიზი სჭირდება და მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი იმის თქმა, თუ რამდენად მართებული იყო სახელმწიფო სახსრების ასე ხარჯვა და რამდენად გამართლებული იქნება მომავალშიც ამ კურსის გაგრძელება. თუმცა კი, როგორც ჩანს, **გარკვეული დასკვნები ამ მხრივ უკვე გამოტანილია, სხვა შემთხვევაში გაუგებარია, თუ რატომაა, რომ გაისად სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო ხარჯი საკმაოდ სოლიდური თანხით, 83, 21 მილიონი ლარით მცირდება.**

ოქტომბრის მიწურულს, პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე მომზადებული დასკვნა მას უკან დაუბრუნა. შეგახსენებთ, რომ **წლეულს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი 321, 35 მილიონი ლარია, მომავალი წლის ბიუჯეტის კანონპროექტის პირველ ვარიანტში კი ასიგნება 238, 14 მილიონ ლარს შეადგენს.** ბუნებრივია, შესაბამისად დაგეგმილია სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების შემცირება: **კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების (75,43 მილიონი ლარით), სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტური კეთილსაიმედობის (3,93 მილიონი ლარით), სამედიცინო კვლევითი ღონისძიებების განხორციელების (3,4 მილიონი ლარით), მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების (450 ათასი ლარით).**

თუ როგორ აისახება ყოველივე სოფლის მეურნეობის აღნიშნული სეგმენტების მდგომარეობაზე, ამის თაობაზე, ცხადია, უწინარესად, სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ, რომლებსაც პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტში კი მოუსმინეს, თუმცა კი, ინფორმაცია ამის თაობაზე არ არის. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად დანამდვილებით კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ, როგორც კომიტეტის დასკვნაშია აღნიშნული, წლევანდელთან შედარებით **გაისად ნაკლები დაფინანსება ექნება ასევე ფაქტობრივად ყველა ქვეპროგრამას. მათ შორის, ნაკლები ასიგნება ექნება სოფლის მეურნეობის პოლიტიკასა და მართვას (2,735 მილიონი ლარით), სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვასა და ადმინისტრირებას რეგიონებში (385 ათასი ლარით), სამელიორაციო სისტემების მოდერნიზებას (14 მილიონი ლარით), სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებებს (1,24 მილიონი ლარით), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგით დაფარვას (7 მილიონი ლარით), აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებებს (4 მილიონი ლარით), ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვასა და იდენტიფიკაციარეგისტრაციას (3 მილიონი ლარით), მცენარეთა დაცვასა და ფიტოსანიტარიულ კეთილსაიმედობას (550 ათასი ლარით).**

ამავე დროს, მეტად საგულისხმოა, რომ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი ქვეყნის მთავრობის წინაშე სვამს საკითხს **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსების წლევანდელი მაჩვენებლის – 5,35 მილიონი ლარიდან გაისად ლამის გასამმაგებასა და 15 მილიონ ლარამდე გაზრდას.** გარდა ამისა, მეტად საყურადღებოა აგრარული კომიტეტის წევრთა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ **აგროდაზღვევის სადღეისო დონე აშკარად არასაკმარისია და საჭიროა მისი ოდენობის 5 მილიონი ლარით გაზრდა და 10 მილიონ ლარამდე აყვანა.** ასევე საჭიროა ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათ დაავადებებთან ბრძოლასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა-გადამუშავების პროგრამების დაფინანსების მომატება.

„კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში წარსადგენ ბიუჯეტის შესახებ გადამუშავებულ კანონპროექტში“, – ნათქვამია აგრარული კომიტეტის დასკვნაში.

ოთარ ტურაბელიძე

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფროსის ავთანდილ ხაზალიას და

გულნაზი ხაზალია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

◎ რეიტინგი

უსაფრთხოების „ბრინჯაოსანი“

კრიმინოგენური მდგომარეობის ამსახველი რეიტინგი გამოაქვეყნა ვებ-საიტმა Numbeo-მ. ამ ნუსხის სხვებისგან განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ რაც უფრო შორსაა ესა თუ ის ქვეყანა სიის თავიდან, მით უფრო სასიკეთოა ამ თვალსაზრისით იქაური მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ Numbeo – ესაა მსოფლიოს ყველა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან აგენტთა მიერ მიწოდებული ცნობების საფუძველზე შედგენილი მონაცემთა ბაზა. პორტალი წარადგენს აქტუალურ ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყანასა და მის მხარეებში ცხოვრების სიძვირის, უძრავი ქონების ფასების, ჯანდაცვის სისტემის, დანაშაულის დონის, ტრანსპორტის, განვითარების, ატმოსფეროს დაბინძურების, ასევე პოტენციურ ვიზიტორთათვის სხვა საგულისხმო ინფორმაციას.

ამრიგად, წლევანდელი ანგარიშის თანახმად, მსოფლიოს 118 ქვეყანას შორის საქართველოს 116-ე ადგილი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უსაფრთხოების მხრივ პლანეტის მოწინავე ქვეყნების სამეულში ვართ. რეიტინგის ლიდერია 118-ე ადგილზე გასული **სინგაპური,** მეორე ადგილზე კი **სამხრეთი კორეაა.**

აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების რეიტინგში 2015 წელს საქართველოს მე-6 ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ერთბაშად სამი საფეხურით წინსვლის მიზეზი კი ის არის, რომ 2016 წლის პირველ ნახევარში ქვეყნის კრიმინალურმა ინდექსმა მხოლოდ 19,6 პროცენტი შეადგინა, უსაფრთხოების დონემ კი – 80, 74 პროცენტი.

საგულისხმოა, რომ, რეიტინგის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, უსაფრთხოების დონით ჩვენ კავკასიელ სამეზობლოში საქმე მაინცდამაინც რიგზე ვერ არის: ამ ნუსხაში **აზერბაიჯანი** 24-ე ადგილზეა, სომხეთი – მე-20-ზე, ხოლო **რუსეთი** – 69-ზე.

ცალკეა აღსანიშნავი უსაფრთხოების რეიტინგში მოუულოდნელად არასასურველად მაღალი ადგილები ისეთი ქვეყნებისა, როგორებიცაა **ამერიკის შეერთებული შტატები** (73-ე ადგილი), **საფრანგეთი** (55-ე ადგილი), **დიდი ბრიტანეთი** (54-ე ადგილი), **თურქეთი** (44-ე ადგილი), **ესპანეთი** (30-ე ადგილი), **შვეიცარია** (მე-11 ადგილი).

უსაფრთხოების ყველაზე დაბალი დონე კი დაფიქსირებულია **ვენესუელაში, პაპუა – ახალ გვინეაში, ჰონდურასში, სუდანსა** და **სამხრეთ აფრიკაში.** ამრიგად, ამ ქვეყნებში სტუმრობისგან, უმჯობესია, კაცმა თავი შეიკავოს.

დალი ხუნდაძე

◎ კრიმინალი

მალტის გემმა ფოთის აკვატორია დააბინძურა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციასთან ერთად გემის მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

მალტის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა ფოთის ნავსადგურში სამეურნეო ფეკალური წყლები ჩაღვარა.

გემის კაპიტანს განესაზღვრა საჯარიმო სანქცია 65 000 ლარის ოდენობით. მასვე დაეკისრა გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელმაც 3 850 ლარი შეადგინა.

მალტის დროშით მცურავი გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს დაკისრებული საჯარიმო სანქციების გადახდის შემდეგ დატოვებს.

„კანონიერი ქურდი“ – აეროპორტში

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1974 წელს დაბადებული გ.ც. კანონიერი ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გ.ც. ე.წ. ქურდულ სამყაროში აღიარებულია „კანონიერ ქურდად“. სამართალდამცველებმა ბრალდებული თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იმ დროს დააკავეს, როდესაც მოსკოვი-თბილისის რეისით საქართველოში ჩამოფრინდა. გ.ც. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობდა.

მექრთამე სპეციალისტი ფაქტზე დააკავეს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლობის მთავარი სპეციალისტი ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში მერი მთიულიშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მერი მთიულიშვილმა მოქალაქეს საქონლის ყალბი წარმომავლობის ცნობის დამზადების სანაცვლოდ ქრთამის სახით მოსთხოვა და გამოართვა 700 ლარი, რა დროსაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

◎ საპატრიარქოს განცხადება

„ნატოსა და ევროსტრუქტურებშიც საქართველოს ეკლესიის შესახებ არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ“

„საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები 12 ნოემბერს ბრიუსელიდან სამშობლოში დაბრუნდნენ.

როგორც უკვე აღინიშნა, ვიზიტი იყო გაცნობითი ხასიათის და მან მაღალ დონეზე ჩაიარა.

ამასთან, აღმოჩნდა, რომ ნატო-სა და ევროსტრუქტურებშიც არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის შესახებ და ჩვენც არასწორი წარმოდგენა გვქონდა მათ პოლიტიკასთან მიმართებაში რიგ თემებთან დაკავშირებით.

მაგალითად, საქართველოში სასწავლო დაწესებულებებიდან ამოღებულია რელიგიის სწავლება და, ვითომცდა დასავლური პოლიტიკიდან გამომდინარე, იკრძალება რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე საუბარი.

ევროკავშირის ქვეყნებში კი ეს საგანი სხვადასხვა ფორმით არის შეტანილი იმის მიხედვით, თუ სად რა მოთხოვნილებაა. მაგ. ბელგიაში, სადაც სახელმწიფო აღიარებს რამდენიმე მიმდინარეობას: კათოლიციზმს, მართლმადიდებლობას, ლუთერანობას, იუდაიზმსა და ისლამს, სახელმწიფო ხელს უწყობს და ფინანსურად უზრუნველყოფს ნებისმიერი ამ აღმსარებლობის მქონე მოსწავლის თუ სტუდენტის სურვილს, მიიღოს რელიგიური განათლება. ჩვენთან კი პრობლემებს ქმნიდნენ.

საქართველოში, როგორც ცნობილია, გარკვეული ძალები ეწინააღმდეგებიან ოჯახის, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის განმსაზღვრელი პუნქტის ჩაწერას კონსტიტუციაში, იმ მოტივით, თითქოს ეს ევროინტეგრაციის პროცესს შეუშლის ხელს.

უმაღლესი დონის არაერთ შეხვედრაზე ცალსახად ითქვა, რომ არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში და თვით ზეპირ თუ წერილობით რეკომენდაციაშიც კი არასოდეს ყოფილა მინიშნებული ერთნაირსქესიანთა ქორწინების ხელშეწყობა, რომ ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანაში განისაზღვრა ოჯახი, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა და ეს არის ევროკავშირის სტრუქტურებისთვისაც სრულიად მისაღები მდგომარეობა.

რაც შეეხება ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებაში საპატრიარქოს წარმომადგენელთა აზრს, მათ განაცხადეს, რომ ეს მოსახლეობის გადასაწყვეტია; ეკლესია პატივს სცემს ხალხის არჩევანს და მიიჩნევს, რომ უმთავრესია:

ა) საქართველო იყოს დამოუკიდებელი;

ბ) აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა;

გ) ქვეყნის განვითარება მოხდეს ტრადიციული ფასეულობებისა და ღირებულებების გათვალისწინებით.

ამასთან, საქართველოს ეკლესიისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა სახელმწიფოსთან იყოს ჩამოყალიბებული მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა“, — ნათქვამია განცხადებაში.

◎ ანეკდოტები

მეცნიერებას, რომელიც იმ სისხლის სამართლის დამნაშავეებს სწავლობს, რომლებიც მართლმსაჯულების ხელში აღმოჩნდნენ, კრიმინალისტიკა ეწოდება.

იმ მეცნიერებას კი, რომელიც სისხლის სამართლის იმ დამნაშავეებს სწავლობს, რომლებიც მართლმსაჯულების ხელში არასოდეს არ აღმოჩნდებიან, პოლიტოლოგია ჰქვია.

* * *

ეძიმმა უფრო მეტად კონიაკისა და არყის სმა მირჩია. ისე, სიტყვასიტყვით კი მითხრა: „ღვინოს რაც შეიძლება ნაკლებად მიეძალეთო, მაგრამ არსი, დარწმუნებული, სწორედ ეგ არის...

* * *

ორი მეგობარი, ყოფილი თანაკლასელი საუბრობს:

— გაგიგია ასეთი რამ: ორი ტექნიკური უმაღლესი მაქვს დამთავრებული, მაგრამ გუშინ ჩემს მეოთხეკლასელ შვილს ამოცანის ამოხსნაში ვერაფრით ვერ დავეხმარე. თავდაპირველად ლამის გავგიჟდი, მერე კი გამახსენდა რომ ჩვენ მესამე კლასიდან პირდაპირ მეხუთეში გადაგვიყვანეს და გულზე მომეშვა!

* * *

პროქტოლოგი ექიმი სამსახურიდან შინ ბრუნდება და ცოლს ეუბნება:

— ძვირფასო, მინდა გითხრა, რომ მშვენივრად გამოიყურები!

— ჩემო კარგო, იმის შემდეგ, რასაც შენ დღეს სამსახურში უყურე, მე კარგად კი არა, საუცხოოდ, არნახულად უნდა გამოვიყურებოდე!

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

დედამიწას ვადა ეწურება!



ცნობილმა ფიზიკოს-თეორეტიკოსმა სტივენ ჰოკინგსმა, რომელიც ინვალიდის ეტლს არის მიჯაჭვული, განაცხადა, რომ დედამიწის არსებობას თავისი ვადა აქვს.

მეცნიერმა ოქსფორდის უნივერსიტეტში გამართულ ლექციაზე სტუდენტებს განუცხადა, რომ დროა, ახალი საცხოვრებლის ძებნა დაიწყოთ...

კარგად უნდა შევისწავლოთ და ავითვისოთ კოსმოსი, რადგან მომავალში ცივილიზაციის გადასარჩენად მისი გამოყენება გარდაუვალი იქნება.

ფიზიკოსი ამტკიცებს, რომ მომდევნო ათასი წლის შემდეგ, შესაძლოა, ადამიანები დედამიწიდან საერთოდ გაქრნენ. ამ ყველაფრამდე კი ატომური კონფლიქტები, ხელოვნური ინტელექტი და გენეტიკური ვირუსების შექმნა მიგვიყვანს.

ბენზინ-დიზელის ეპოქის დასასრული

ავტომგიგანტმა „ტოიოტამ“ სედან „მირაის“ სერიული წარმოების დაწყების შესახებ განაცხადა, რომელიც წყალბადზე იმუშავებს და გამონაბოლქვი გაზების გამოფრქვევის მაგივრად გარემოში... წყალს დაღვრის(!).

„ტოიოტას“ სპეციალისტების განცხადებით, საათში 100 კილომეტრის სიჩქარეს „მირაი“ 9 წამში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე საათში 175 კილომეტრი იქნება, ავზის ერთი გავსება 650 კილომეტრს ეყოფა, რომლის ერთი ლიტრი, კილომეტრზე გათვლით, 10 ცენტი ეღირება. მართალია, ახალი ავტომანქანა საკმაოდ ძვირი — 60 ათასი დოლარი ეღირება, მაგრამ ახალი, უფრო იაფიანი მოდელების შექმნა მხოლოდ დროის საქმეა.

წყალბადის გამოყენება მანქანათმშენებლობის განვითარების ერთ-ერთ პერსპექტიული მიმართულებაა და, გარკვეულწილად, „ფესვებთან დაბრუნებაა“: საუკუნე-ნახევრის წინათ ნიკოლაუს ოტოს ოთხტაქტიანი ძრავი სწორედ რომ ორთქლზე მუშაობდა.

ამ და კიდევ უამრავი სხვა ინოვაციის წყალობით, გაზი და წყალბადი ახლო მომავალში ბენზინსა და დიზელს „თამაშგარე მდგომარეობაში“ დატოვებს. ამის მტკიცების საფუძველს ის გარემოებაც იძლევა, რომ „ტოიოტას“ კვალში უდგანან ისეთი დიდი ავტომშენებელი კომპანიები, რომლებიც არიან „აუდი“ და „ჰონდა“.

„ტოიოტა“ 3,4 მილიარდ ჯარიმას „სიამოვნებით“ იხდის!

კომპანია „ტოიოტა“ და აშშ-ის მთავრობა შეთანხმდნენ, რომ საავტომობილი ფირმა დაზარალებულებს კომპენსაციას გადაუხდის.

საქმე იმაშია, რომ „ტოიოტას“ ფირმის პიკაპებმა ვერ გაუძლეს კოროზიას და ადვილად დაჟანგდნენ. ასეთი მანქანების რიცხვმა კი 1,5 მილიონს მიაღწია.

„ტოიოტა“ აცხადებს, რომ მათი მანქანები უმაღლესი დონისაა და ამ წუნს არ აღიარებს, მაგრამ მზადაა, ყველა დაზარალებულს 15000$ გადაუხადოს, რომ არ დაკარგოს კლიენტების ნდობა და საკუთარი ნიშა სავაჭრო ბაზარზე. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ეს მანქანები 10-12 წლისაა და არა ახალი, მაგრამ კომპანია მაინც ანაზღაურებს მიყენებულ ზარალს

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4899; ევრო - 2.7098;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1472;
100 რუბლი - 3.7825; თურქული ლირა - 0.7631;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4397;
1000 სომხური დრამი - 5.2090.

ამინდი 15 ნოემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +5,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +15
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +17
მთიანი რაიონები -	ღამე +1,	დღე +13
თბილისი:	ღამე +9,	დღე +17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE